მიწის საშო ევროპაში ამოიშრიტა. ყოველი შემთხვევაში იგი დამწირების ხანშია. „ველი“ მოწყდა „მამას“ და ნაყოფი უნაყოფოა. მიწის დასწეულებათს თანსდეგს მარტოობათ უკანასკნელი და ევროპული ხასისათ მელანქოლია იგელობათ. არ არის საკვირველი, თუ იქ დაიბადა მძაფრი წყურვილი პირველყოფილისა ანუ პირველ-მიწისა. რუსსო მოუწოდებთ: „ბუნებათს დაბრუნებთ“. ტოლსტო. მოუხმობს: „გაუბრალოებთ“. პირველი სანტიმენტალიზმის იერით, მეორე რაციონალიზმის შეფერვით. ორივე ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ არსებთათ: ანოყოფრება პირველ მიწისაგან. ასანიშნავია ერთი ფაქტი ახლო წარსულოთგან. პოლ გოგენ მიდის ტაიტი და ველურათ შორის ეხიარება მიწის ხელუხებ წილბს.

ევროპამ უკვე შეიტყო, რომ „ველური“ არ არის ცნება ეტნიური საფეხურის. ველური პირველ ყოვლისა ბავშია და ბავშთან ყოველთვის არის სიმართლე. ყოველს მის ნაკვეთს აზის ბეჭედი პირველადის, სწორის, მართალის. აქ არის „პირველი სიტყვა“, აქ არის გულის განსა უკანასკნელი. ამისათვისა, რომ ველურის ქმნილი ასეთი ექსპრესიით მოქმედობს: როგორც დიდი

ლოდი, როგორც ცინცხალი წყარო, როგორც რტოები ირმის რქებისა. უკვდავი ჰომეროს: მარადი ბავში და მარადი სასწაულ-მოქმედი. ველურის მიერ ამოჭრილი ველი თუ მამუტი თევზის ძვალზე—აი პირველი ქმედითი აქტი. ცხადია: ევროპის ხელოვნებათ მოწყურებული დაეწაფებოდა ამ ნიდაგის თაურბს. ამში არ უნდა ვხედავდეთ უკან დახევას. აქ სრულიად სხვა ფენომენია: ნდომა უკანასკნელი გულახდილობის და მსოფლიოში შევილურად გადნობის: ბოლოს და ბოლოს სურვილი უკანასკნელი მთელობის.

ასეთია პრიმიტივიზმის ხაზები. მის გაძლიერებათს არქეოლოგიური აღმოჩენებმაც შეუწყვეს ხელი, განსაკუთრებით კრიტოსის აღმოჩენებმა. კრიტოსის კულტურათ, ივანსის აღმოჩენათა შემდეგ, შთავგონების უშრეტ წყაროდ გადაიქცა ევროპის ხელოვნებისათვის. განა გამოუთქმელი სიხარული არ იქნება იხილო თვალის-მომჭრელი სამაჯური, რომელიც, ვინ იცის ათას წლების უკან რომელიმე წარმართი მფე-წულის თოლილ მახას ამშვენებდა? კრიტოსის კულტურის ნაშთი, რასაკვირველია, არ არის ისეთი სისრულის როგორც პრეისტორიული

ჰერმეს მთავალითად, მთავრამ მსსში ბავშვის ხელი, უღარდელი და სწორი, ზეკაცურ არის მოქნეული. ეს კი ყველაფერია. კრიტიკისი ვაზაში ჩამოსხმულია მატყვევებელი დენა ქმედითი ძალით: მის ხაზებში მოსჩანს ძველი ეგვიპტეცა და გაზრდასული ქალდეაც. თვითონ კრიტიკისი ვადარჩენილ ახალმშენად იგულვება კატასტროფიულად დაღუპულ ატლანტიდისა. ეს კიდევ უფრო ამხანგილებს მის ჯადოსანობას.

ნიკო ფიროსმანი პრინციპისტია. არა იმ აზრით, როგორც მთავალითად გოგენ. იგი თვითონ არის პრინციპი. მას არ გაუფლია რომელიმე სკოლა. საეჭვოა, რომ მას რაიმე ტენიკა გაუფლიოს ხატვისა თუ ხაზვის. იგი იყო ჭბრალო და ნათელი. მოუხსინეთ ერთს მესარდაფეს: „ნიკოლა იყო პატიოსანი კაცი მეტად, უბინო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯერ მიქმედია საწყალისათვის პური. კეთილი კაცი იყო. არავის ახსოვს მისგან წყენა. დადიოდა დაგლეჯილი. უკვარდა მეტად ლექსები (ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველასი, სხვისი ცნობით—გ. რ.). საიდან იყო, დანამდვილებით ვერ ვიტყვით. დაახლოვებით 50 წლის იქნებოდა. გუშინაც კი მომაგონდა: ნეტავი ჩვენი ნიკოლა ცოცხალი იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და ისფად გამომიყვანდა-მეთქი. ბევრი არაყს სვამდა საწყალი. იტყოდა: მიყიდეთ საღებავები და ამა და ამ სურათს დაგინატავთო. მართლაც დახატავდა და მოატანდა“. ამ ჭბრალო სიტყვებს არაფერი მიემატება. აქ მოცემულია მთელი ფიროსმანი: ნამდვილი ვიზიონერი, თვალთა სიზმრის დაჭერა რომ სურს არაყით საესე ჭიქასთან. მით უფრო საცნაურია მისი ფენომენი. ეგვიპტის უსახელი ფრესკი, აფრიკის რომელიმე კერპი, კრიტიკისი ვაზა: ამ რიგში უნდა დაინახო ფიროსმანის ხატული.

მთავარი მოტივი ფიროსმანის არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია მეორეუ სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასეთი სიძლიერით ეგრძნოს მიწის „დედობა“. დეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, შავშები, ცხოველები, კალო,—აქ არის მხატვარი ფიროსმანი. აქ არის მოცემული ნამდვილი ქართული ტემპერამენტი: ხალასი მზით დაფერილი. აქ მხოლოდ სიცოცხლეა: ხალისით, გულახდით, ნადიმით, ფიროსმანი ქართული ყოფის ეპიური თვალის. ამ თვალის მხერამ მოგეცა დიდი და შესანიშნავი ტილოები. „ყურძნის კრეფა“ სურნელოვანია საწინებლის სურნელით.

აქ ყველაფერია: კრეფა, წურვა, ღბინი. სურათს ამთავრებს ზაფხვი დათვის ბელით. უკანასკნელი ხაზი კიდევ უფრო ა მ ძ ა ფ რ ი ე ბ ს ნ ა - ხ ა ტ ს. ამავე რკალს ეკუთვნის მისი „ქორწილი კახეთში“. კიდევ უფრო შესანიშნავია მესამე დიდი ტილო „ღრეობა“. კომპოზიციის მხრით ეს სურათი თითქმის ყველა მის სურათებზე უმძლავრესია და ურთულესი. ურმებით მოსლვა-ცხენ-ეკლესია-ქეიფი: ყველაფერი ერთი რკალით არის მოშვილდული. მინდა კიდევ აწინიშნო მისი ტილო „დიდი მარხვა“. საგულისხმოა, რომ მხატვარს ლოცვა ბუნების უზაფულში აქვს გადატანილი. ლოცვა გაშლილ ჰაერში მოწმობს ფიროსმანის ერთგულებას მიწის მიმართ. ასანიშნავია ორი პატარა ბავში: ერთი ხელეზაპურობილი და მეორე პირქვედამხობილი. მლოცველთა ჯგუფში ამ პატარა დეტალს შეეკვს მძაფრი ექსტაზი. შედეგია უცოლო.

ხოლო ფიროსმანი „ქალაქელიც“ არი: ამ სიტყვის როგორც საერთო ისე „ტფილისური“ მნიშვნელობით. ვიზიონერსა და განმარტოებულს და არაყის მამელს „სამიკიტნო“ უყვარდა. აქ ნახა მან ტფილისის პოემა კინტოს ღბენაში. რასსიული სხვადასხვა ხაზის კოლორიტიან ყარაჩოღელში. აღზადე ეს თუ „აწვალებს“ მას. თითქო უღარდელია, მთავრამ მინც რალაც აწუხებდა. ქეიფი, როგორც ერთგვარი არტისტიზმი, დამახასიათებელია ამ უცნაური კასტის. ფიროსმანის კინტოების სერები დაუფიყვარია თავის ექსპრესიით და უცნაური პროფილებით. აქ ფიროსმანმა დიდი გავლენა იქონია ღბადო გუდისშვილზე. ამ სერიებში ყველაზე უფრო მე მოწმონს ფართოდ გაშლილი ქეიფი ხუთის თუ ექვსი კინტოსი. მუზურნები, ნედლოფ, ბიჭს ბილი მიაქვს, გოგონას ყვავილები, მობუცს ხელადა ღვინით საესე, კინტოები ყანვებით ხელში. ბალახზე გაშლილ სუფრაზე მწვანელი, ყველე, თევზი: ყველა ეს მთავარი კომპოზიციით გამძარული. კიდევ უფრო გაქანებულია ტილო: „ბელი დუხან“. გუდისშვილის ერთი სურათი თითქო ამ ტილოს ვარიაციაა. არ შემიძლია აქვე არ აწინიშნო პატარა ქალაქელი ბიჭი. ამ ესკიზში თითქო მთელი რასსიულობაა ყარაჩოღელთა დადაღული. ქალაქს „მხარული“ ქალეზიც სასაიათებენ: ფიროსმანმა მოგეცა წყვილად ორთაჭალის გოგონები. საგულისხმოა მეტად, რომ ნათელი ფიროსმანი ამ ცოდვის შვილებს უცოდვილ ყვავილებთან აწვენს და მხარეზე



უბიწო მტრედებს დააფრენს. ქალაქის ტიპის აგრეთვე „მეფსოფე“: ოდნავ გამწყრალ სახეზე მოსჩანს მგველის თავისებური სპლინი. სურათი მარტივია უაღრესად და მძაფრად მეტყველი.

კინტოების ქეიფი მოღზე გამლილ სუფრასზე უფრო ისატება ხილში და მწვანაილში. შესაძლოა ამ ფაქტმა წარმოშვა ფიროსმანის „ნატურმორტები“. ერთს რკალში: ხელადა, ტიკჭორა, ყანწი, ბოთლი, კიტრი, ყველი, მწვანაილი, ჭიჭა, მწვადი, ხილი, თევზი. ნატურმორტებში სჩანს ფიროსმანის უდიდესი ტენიანური ძალწევა. ერთი მათგანი (საკუთრება მხატვარ კორილ ზდამნევიჩის) ფორმალური სისრულის მხრით არი ჩამოუყარდება არც ერთს ნატურმორტს თვითონ სეზანისა. მაგრამ, რაც უფრო საგულისხმოა, ფიროსმანს აქვს არა მარტო „კვდარინატურა“, არამედ „მოკლული ნატურაც“. აქ არის ნაფანსი. ფიროსმანი იძლევა რაღაც ახალს. ნატურმორტებს საერთოდ ახასიათებს სიკვდილის სურნელი. ფიროსმანის ნატურმორტები სუფრასა მხოლოდ, რომელიც მოვილის მოქეიფეთ. თუმცა ის სევედა აქაც არის, რომელიც უჩინრად ეჭრება ხოლმე ყოველ ღონის. მაგრამ „მოკლული ნატურაში“ ფიროსმანი იძლევა უმძაფრეს საცოდაობას. (სრულებითი ფენომენალურია ამ მხრით მისი „აღდგომის კრავი“, სხვა და სხვა ვარიაციით. „საცოდაობა“ აქ იწვევს უზენაეს სიყვარულს. ამ სურათის ხილვის შემდეგ გეცოდება ყოველი და გიყვარს ყოველი. პირადად ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, „აღდგომის“ კრავი სამუდამოდ დაუფიწყარი დარჩება.

ფიროსმანს უყვარდა მეტად ცხოველები. ისანიშნავია „ეირაფი“: უცხო, მედიდური, სხვა გონებით სავესე თვალები. „დათვი მთვარიან ღამეში“: უმავალითო პეიზაჟი, დათვი შეჩერებულში წაქცეულ ხეზე, თითქოს უეცრად გაღვიძებული მთვარეული და ძარღვებშიშინებული. „ირემი“—ორი ვარიანტი ვანსაკუთრებით ერთი გადაჭრილ ხის გვერდით. საკირველია აქ ეს დეტალი: ირემს უნებლიეთ ვადა ოდნავ ჩამოჭრილი აქვს. კიდევ უფრო საგულისხმოა: ირემი თითქო ხისაგან არის გამოჭრილი, მაგრამ ამხვე დროს უმძაფრესი სიციხველითაა შეკუნთული ცხოველი არსებად. ეს „შეკუნთვა“ ისეთი ძალით არის მოძაბული, რომ მთელი ირემი თითქო ხტომას თვითონ. ფიროსმანს აქვს კიდევ მესამე ირემი, ხატულა, უჩვეულო სევედით ავსილი

თვალებით. „ვირი დატვირთული“: შეშატვირთი მთავარი ტენიკით არის დახატული. ვირის მხერა და საბასუხო ცქერა ბიჭისა—აქ ნატებია მთელი ეპოსის. „აქლემი“ რომელიც სპარსელს მოჰყავს დატვირთული: საოცრისა გახუნებული ფერი და სიდიადე აქლემის. „კრუხი და ბავში“: შესანიშნავია წიწილების სიციხველე.

ფიროსმანი იცნობს ლანდშაფტებსაც. ახანიშნავია ერთი შედევი: ორი რიგითი ხეები, ყურძნის მტევნებით დატვირთულნი. შუაგულში დიდი ჭური, უკან სახლი, იქითკი სინათლის ღელები თითქო მომქედარი. ნათელი ფიროსმანი ამ სინათლეშია ბოლონდე.

ასეთის ფიროსმანი, „ველური“ და ბავში. მის პრიმიტივში მოცემულია „უშუალობა“ თითქმის აბსოლუტური. ეს არ არის ფრაზა. ეს ონტოლოგიურ ფაქტად მეჩვენება. ფიროსმანის ქმნილი ნატებია ბუნების. მასში, ასე ვსთქვათ, ჩამოსხმულია თვითონ შთაგონება. იგი სხეულია უკანასკნელის. შთაგონებასა და მის სხეულყოფის შორის მანძილი არ არის: ასე ძლიერია მხატვრის შთაგონებულობა. ფიროსმანის უკუნლტურობას და მის ტენიკურ უხერხულობას თითქმის ვეღარ ამჩნევ: ხედავ მხოლოდ რომელიც უმაღლეს სიმართლეს. ფიროსმანის ნახატები ბუნებურობის ფაქტებია: წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი.

ჭეშმარიტად: გენიალური ბარიბაროსია იგი ბავშვის ქალწულური სულით.

ორი სიტყვა ფიროსმანის საღებავებზე. იგი უმეტეს წილ მუშაბაზზე ხატავდა. აქედან თავისებური ფიროსმანური აფერვა (მხატვარ ი. შევარდნაძის მართალი შენიშვნით). შესაძლოა: აქ უნდა ვეძიოთ ფიროსმანის სიყვარული ჭაბბის ფერებისა.

უცნაურია თითონ ხვედრი მხატვარის: თითქოს იგი კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა. თითქო იმისთვის, რომ მისი ხატული „უსახელიდ“ დარჩენილიყო როგორც ნაშთი დიდის პრიმიტივისა.

ხედავ ფიროსმანს და გვერა საქართველო.

**გრიგოლ რობაქიძე**

**შენიშვნა რედაქციისა:** ეს ესკიზი დაბეჭდულ წიგნში „ნიკო ფიროსმანი“, რომელიც გამოვიდა ტფილისში 1926 წელს. იქვე მოთავსებულია რუსული და ფრანგული თარგმანი ესკიზისა. გადმოვებეჭდეთ ავტორის ნებართვით.

ნ ი კ ო ზ ი რ ო ს მ ა ნ ი

ნამდვილი დატა ნიკო ფიროსმანის დაბადებისა და უარდაცვალებისა ქართული ხელოვნების ისტორიისათვის ჯერ კიდევ გამაოურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი მხატვარი ჩვენს ეპოქაში იყო მოვლინებული, მისმა მკვლევარებმა ვერ შესძლეს ზუსტათა აღდგინათ მისი ცხოვრების მთავარი მომენტები. ამ მხრივ მისი ბედი უთანასწორდება იმ ძველ ქართველ მხატვართა ბედს, რომელთაც მრავალ საუკუნეთა გასწვრივ ასე ზნებად მოხატეს ჩვენი უამრავ საყდართა და კათედრალთა კედლები. თუ ქართული ხელოვნების ისტორიისათვის მრავალი მათი სახელები უცნობია, ეს მოვლენა არც ისე უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, რადგან მრავალ საუკუნოებმა მათი სახელები წაშალეს. მხოლოდ ეროვნულ საინცხვილად უნდა ვაღიაროთ, რომ ნიკო ფიროსმანი, ეს დიდი მხატვარი ჩვენმა თანამედროვე საზოგადოებამ ვერ დააფასა.

რას იყო ამის მიზეზი, თუ არა ჩამოჩენილობა ჩვენი მხატვრული გემოვნებისა და გადაგვარება ჩვენი არტისტული შემოქმედებისა. ჩვენმა წინაპრებმა ხელოვნების გენიალური ნაყოფი დაგვიტოვეს ყოველ დარგში. ხუროთმოძღვრება, ორნამენტი, მონუმენტალური მხატვრობა, მინიატურა, მოზაიკა, ბარელიეფები, მინანქრები, ყველა ეს სახეობი ხელოვნება, რუსეთის ჩვენში შემოსვლამდე, განუწყვეტილად ვითარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დამპყრობნი რუსეთზე უფრო სასტიკნი იყვნენ. რუსეთის დამკვიდრების შემდეგ ქართული ეროვნული მხატვრული შემოქმედება სრულიად წყდება. მხატვრული გემოვნება და ნოთხოვნილებანი ჰქრება. ქართული „მაღალი“ საზოგადოება აღფრთოვანებული იყო რეპინების, აივანოვსკების, ვაგარინის. უკანასკნელმა რუსულ ბიზანტიური სტილით რომ მოხატა სიონის დიდებული კედლები ძველი ქართული ფრესკების განადგურების შემდეგ.

ევროპიული ხელოვნების განვითარების ზეობი ჩვენთვის უცნობი იყო. სრულებითი მუნებრივია, რომ ნიკო ფიროსმანი აღმოაჩინეს და დააფასეს გრიგოლ რობაქიძემ, ძმებმა ზდანევიჩებმა და მხატვარმა ლო დანტუამ, რადგან ეს პირები უმუშალოთ ევროპის კულტურაზე ნაზიარები იყვნენ.

თუ ნიკო ფიროსმანი ჩვენმა ნოწინავე ინტელიგენციამ თავის დროზე ვერ დააფასა, მაგიერად ფიროსმანი თვით გამოსული „დაბალი“ ხალხიდან, ამ ხალხმა ის შეიგრძნო და შეიყვარა. ამ ხალხმა შეგინახა ჩვენი წარმტაცი ეროვნული ცუკები და სიმღერები. გასაკვირი არ არის, რომ მანვე უფრო იგრძნო ფიროსმანი როგორც ჩვენი ტრადიციული მხატვრობის გამგრძელებელი. ფიროსმანი ამ „უფიც“ ხალხში ცხოვრობდა და ტრიალებდა, რომელთა ცხოვრებას ის მხატვრულ ფორმებში სახავდა.

მისი ატელიე იყო ტფილისის სამიკიტნობი და სარდაფები, სადაც ის დაუფერებელი სისწრაფით ქმნიდა თავის შედეგებს ლუკმა - პურის და ჭიქა-ღვინის საფასურათი. (ერთი მოწმის გარდმოცემით, კინტოს შვილის პორტრეტი ნახევარი საათში დახატა ტფილისის ერთ-ერთ სარდაფში დამსწრეთა ღრიანცელსა და ყვირილში.).

1918 წლის, ტფილისის ერთ-ერთი გაზეთში ასეთი განცხადება იქმნა მოთაქსებელი:

„ყურადღება ნიკო ფიროსმანი შვილისადმი არ არის გადასმტება.—ეს არის მცირე პატივისცემა მიძღვნილი ამ დიდ მხატვრის მიმართ, რომელმაც თამანდროვეთა სასინცხვილ მთელი სიცოცხლე გაატარა სარდაფებსა და კაბარეებში. მისი სურათების შექმნა არის გვიანი ცდა იმ ნაწარმოებთა ვადარჩენისა და მოვლისა, რომლებიც წარმოადგენენ ერის საიმაყეს. ნიკო ფიროსმანი ღირსია უკვდავებისა. მისი მუშაბები შეადგენენ ნომვალ მუზეუმის საუკეთესო დარბაზს. მისი ცხოვრება ღირსია ყურადღების და შესწავლისა“. ხელს აწერდნენ ჩვენი მწერლობის, მხატვრობის და თეატრის მოღვაწენი.

ქართულმა საზოგადოებამ თითქოს გამოიღვიძა. ფიროსმანის სურათები თანდათან ამოღიან მზის სინათლეზე, რომ საბოლოოთა დამკვიდრდენ სალონებსა და გალერეებში. ამ დროს ფიროსმანი უკვე გამქრალიყო. დატანჯული სული უკვე დაელია ფაღრეს გაჭირვებაში, სიმშვილში და ღლითობაში. დღეს მისი საფლავიც არავინ იცის, რომ ძველი მარადისობისა მადლიერმა ერმა ერთ დღეს აუშენოს მას.

„მ ი მ ც ე მ ი“ და „მ ი მ ლ ე ზ ი“ \*)

II

სამხრეთ შუა - მდინარის ქვეყანა და ეგვიპტე ითვლება მეცნიერების მიერ ორი უძველესი ნადაგად, სადაც შეიქმნა და განვითარდა ის კულტურა, რომლის მემკვიდრე თანამედროვე კულტურული კაცობრიობა არის. ამ ორი აღმავლის შექმნილან თითქოს „დამოუკიდებლად“ სუმიერული და ეგვიპტური კულტურანი იქმცხოვრებ ერთა მიერ, და გაუღენა ამ კულტურათა საუკუნეთა განმავლობაში ძლიერი იყო შემდეგ ისტორიის ასპარეზზედ გამოსულ სხვა ერთა კულტურასზედ, და ელემენტები მათი დღემდე დასრუნილან. — დაახლოებით 6.000 წლის ყოფილა კულტურა, რომელიც განსაზღვრული სახელწოდების ერთ შეუქმნილად დღემდე და რომლის კვლევაც და ისტორიის დაწერაც შესაძლებელია იმ ნაშთთა მიხედვით, რომელნიც ამ ერთა შემოქმედებას დაუტოვეთა. — ზოგიერთი მკვლევარი ჩინური კულტურასაც ძველის-ძველად სთვლის და „დამოუკიდებლად“, მაგრამ ეს საკითხი სპეციალურია და აქ ნათელი - საყოფი აზრისათვის უმნიშვნელი.

მაგრამ რა არის 6.000 წელი იმ მრავალ ათათას წელთან შედარებით, რომლის განმავლობაში აღმართა სხვა და სხვა მოდგმის ჯგუფებს ღვაწლი გაუღია ერთობ კულტურის პირველ საფეხურთა შესაქმნელად? ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, თუ ამ უძველესი დროის აღმართა ჯიშში ვიცანით დაახლოებით, რომელიც მრავალი და სხვა და სხვა ფიზიკური და სულიერი თვისებისა იყო და მოქმედებდა დღე და - მიწის მრავალ ადგილს, ხოლო არც ერთ მოქმედ ჯგუფს სახელიც კი არ დაუტოვეთა ჩვენთვის, რათვანაც მათ ჯერ საწერი ნიშნები არ ჰქონდათ, რომ მათნი საქმენი და სიტყვანი დაწერილნი იქარდმოეცათ მათ მემკვიდრეთათვის.

ამიტომ იწყებთ „ისტორიის“ კულტურული კაცობრიობისა სუმიერთაგან და ეგვიპტელთაგან, — მათ პირველი დაგვიტოვეს დაწერილი ძეგლები და მოგვცეს საშუალება მათი ცხოვრება და ბედი წარმოგვედგინა თვალის წინ იქარა მათ მიერ დატოვეთულ ნივთიერ ნაშთთა მათგანვე ნათქვამითაც.

როდესაც ვადარებთ ეგვიპტელთა კულტურისა სუმიერთა კულტურას, განსხვავება მათ შორის ისე დიდია, რომ ორისავე ინდივიდუალობა ცხადი

ხდება, ცხადი ხდება ორივე ერის დამოუკიდებელი შემოქმედება, კიდევ რომ ყოფილიყო მათ შორის რაიმე ურთიერთობა უძველესი დროისა, როგორც ანას ზოგიერთი მეცნიერი აზრობს. მთელი სახე სუმიერული კულტურისა ისე განსხვავდება ეგვიპტის კულტურის სახისაგან, რომ პირველი ხილვისათვისვე ამ ორი ქმნილებისა სხანს ორი ერის ინდივიდუალური შემოქმედება.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ სრულიად „დამოუკიდებელი“ არც სუმიერული კულტურა ყოფილა და არც ეგვიპტური: სუმიერნი სამხრეთ შუა-მდინარეში ჩრდილოეთითგან მოსრული არა - სემიტები და არა - ინდოევროპეიდები იყვნენ, მათ თან ნოიტანეს ლერსმული წერილი და მართლსაწინოდ სარწმუნოება და კულტურის სხვა ელემენტები. და რომელმა ჯგუფმა აღმართა რა „მისცა“ მათ სამხრეთისაკენ წარსვლამდე, ჯერ არ ვიცით, ხოლო იუწყვილია, — საფუძვლები პირველ - ყოფილი კულტურისა, რომელზედაც მათ მათი შემოქმედებით ააშენეს თვისი, **ეროვნული**, თვით ლერსმული წერილი მთის ხალხისაგან შექმნილი ხატოვანი წერილისაგან სხანს წარმომდგარი, განვითარებული შემდეგ სუმიერთაგან მათ ახალ სამშობლოში. — სარწმუნოებაც მათი არ სხანს სამხრეთ შუა-მდინარეში შექმნილად, არამედ სარწმუნოებრივი წარმოდგენანი მათნი მთისაკენაც მიგვითითებენ. ხოლო სუმიერული ენაში უტყუარი ნიშნები იმისა, რომ უცხო არა-სუმიერულ ელემენტებს შეიცავს იგი, მაგ. მრავალ სიტყვას, რომელიც სუმიერული არ არის, არამედ უძველეს მეზობელთაგან შეთვისებული უხსოვარი დროითგან. — ნილოსის მდინარეში სხვა და სხვა მოდგმის ხალხები დასავლეთითგან, — ლიბიითგან, — აღმოსავლეთ - ჩრდილოეთითგან და სამხრეთითგან იყო შემოსული და მათგან შეიქმნა ერთი ერი ეგვიპტისა. მათ რასაკვირველია თან ჰქონდათ მოტანილი პირველყოფილი ელემენტები კულტურისა. თვით ენა ეგვიპტური ქამური - სემური ნაწიელია, — ეს დამტკიცებული ფაქტია, — მაგრამ ეგვიპტური კულტურისათვის, რომელიც ჩვენ ვიცით, ამ პირველ - ყოფილ კულტურის ელემენტებს კი არ მიუყვია მისი სახე, არამედ ეგვიპტის კულტურას ნილოსის გაქმნოცულობაში საუკუნეთა, ათასეულ წელთა განმავლობაში შემოქმედებამ

\*) იხ. დასაწყისი „ბ. ქ.“ № 11.

ეგვიპტის ერის სულისა მისცა მისი სახე, განსხვავებული სხვა დიდ კულტურათა სახეთაგან. გრძლიოზული პირამიდები, ტაძრები და ქანდაკებანი ციენი, უმოძრავონი, მონუმენტალური, საარწმუნოებრივნი წარმოდგენანი, პიეროგლიფური წერილი და მისგან წარმომდგარი კიდე ორი წერილი, — ჰიერატული და დემოტიური, მწერლობა თავისებური, არა მდიდარი, მაგრამ შეენიერი, კულტი მიცვალებულთა, რომლის მსგავსიც არსად სხვაგან ყოფილა და მასთან დაკავშირებული ხელოვნება, მხატრობა თავისებური და სხვ., სახელმწიფოს ორგანიზაცია და სოციალური წყობილება აგრეთვე თავისებური, რომლის მსგავსიც არსად აღმოსავლეთში არ ყოფილა, რომ აქ რაიმე „გავლენაზედ“ შეიძლება დედს მსჯელობა, — ყოველივე ესე ეგვიპტის ერის შემოქმედების ნაყოფი იყო, შედეგი მისი ღვაწლისა, მესამადმი მისი გონებისა, გრძნობისა და განცდათა. არც ერთი მეზობელი ერს ეგვიპტის ერისათვის ისეთი არაფერი მიუცია, რაც მას არ მოეწონებოდა საფეხით, ან რასაც შეეძლო ის სახე მიეცა მისი კულტურისათვის, რომელსაც იგი ვამოაჩენს.

აღმოსავლეთის ისტორიაში საუკეთესო მაგალითი კულტურისა „მიცემისა“, კულტურული „გავლენისა“, არის სემიტ ბაბილონელთა მიერ შეთვისება სუმერული კულტურისა. როდესაც აღმოსავლეთი არაბეთითგან სემიტები შეესიენ შუა მდინარეს, იქ მათ დახვდათ განვითარებული კულტურა სუმერიისა. სუმერთაგან შეითვისეს მათ ლურსმული წერილი, საარწმუნოების ელიმენტები, ტექნიკა. საუკუნეთა განმავლობაში მათ შექმნეს სემიტ-ბაბილონური კულტურა, სემიტთა სახელმწიფონი, — ბაბილონი, ასსურეთი, — დიდი, მდიდარი ქალაქები, მწერლობა სემური, ხელოვნება სემური. მათ თვით სუმერნი გაასემიტეს, მაგრამ სუმერული ენა მათთვის წმიდა, საარწმუნოებრივ ენად დარჩა, ისე, ვითარცა ლათინური ევროპიელთათვის რომის დაცემის შემდეგ, — საგნად სწავლისა, ენად უძველეს ლოცვათა, და სხვ. მაგრამ აქაც ეროვნულმა შემოქმედებითმა სულმა ბაბილონელთა და ასსურთა არა თუ გარდაქმნა სუმერული კულტურა და გაასემიტა, არამედ ერთობ მათი კულტურა სრულიად „დამოუკიდებლად“ გვეჩვენება, თავისებური სახისა, რომელიც მკაფიოდ განსხვავდება სუმერულიაგან: ნაცვლად ნაზი სუმერული ხუროთ-მოძღვრებისა და სკულპტურისა, — მკაცრი და მონუმენ-

ტალური სემური; ნაცვლად სუმერული ღრმა საარწმუნოებრივი განცდისა, დაჰკარგა რა სუმერულმა საარწმუნოებამ უძველესი პრიმიტივიზმ და სიმკაცრე, — მუდამ და ყველგან მკაცრი სემური საარწმუნოება, მკაცრი, სასტიკი ღმერთები; ნაცვლად უფრო ჰუმანური სუმერული საზოგადოებისა, — დესპოტიკური ორგანიზაცია სახელმწიფოსი, რომლის სისასტიკეს ეგვიპტური ოდნავ თუ აღემატებოდა; ნაცვლად სუმერული ებოსის შთანჩენისა, რომელსაც ვხვდებით გილგამეშის ამბავში, გრძლიოზული ებოსი გილგამეშისა, სემური ლექსით უებრად ნათქვამი, და სხვ. და სხვ. და როდესაც კაცი აღარებს სუმერულსა და ბაბილონურ-ასსურულ მწერლობას, ან და მუხეულებში განიხილავს ნაშთებს სუმერულია და ბაბილონურ-ასსურული ხელოვნებისა, და სხვა ნივთიერ ნაშთებს, მის თვალ წინ აღიმართება ურთი-ერთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ორი სახე კულტურისა, ორი სხვა და სხვა თვისების სულიერი ენერჯის ნამოქმედარი. — და ნუ ვის ჰგონია, რომ სემიტები ვერას მქმნიდენ, რომ შუამდინარეში სუმერული კულტურა არ დახვედრილათ. მათი შემოქმედებითი ენერჯია უსუმერებოდაც ორიგინალურ, თავისებურ კულტურას შექმნიდა შუამდინარის გარემოცულობაში, როგორც ეგვიპტელებმა შექმნიეს ნილოსის გარემოცულობაში მათი კულტურა, მიუხედავად იმისა რომ იქ დამკვიდრებისას მათი განვითარებული ადგილობრივი კულტურა არ დახვედრიათ, სუმერიის მსგავსნი წინამორბედი არ ჰყოლიათ.

ეგრეთ-წოდებული „ხეთლები“ ინდოევროპელები იყვნენ, შემოსრული მცირე-აზიაში თრაკიითგან ბოსფორზედ გადმოვლით, მისხლოვებით მესამე ათასწლეულის ბოლოს, — ჩდილოეთის წარმომობისა, ევროპელები. რა მოიტანეს თან, არ ვიცით, ხოლო ვიცით, რომ შემდეგ მათ შეითვისეს კულტურული ელიმენტები ადგილობრივ ხალხთაგან, — „პროტო-ხალხთაგან“, ხუროთაგან და სხვათაგან. აგრეთვე ბაბილონთან ჰქონდათ მათ მჭიდრო კავშირი, რასაც გვაჩვენებს მათ მიერ ხნარება ბაბილონური ლურსმული წერილისა (არა ასსურულია). მაგრამ თვით ძლიერი და ხანგრძლივი წარსულის მქონე ხეთის ერის კულტურა, მცირე აზიანი შექმნილი, ცვეცილინება ნაყოფად მისი შემოქმედებისა, მიუხედავად მის მიერ მრავალფეროვან უცხო გავლენათა განცდისა, მისი მწე-



როლობა, რაოდენადაც იგი შეგვიწინაბა თიხის ტაბლეტებმა, არც არის მხოლოდ წაშაძვა ბაბილონურისა. ხეთურად ნათარგმნი ფრაგმენტებიც არის გილგამეშის ეპოსისა, მაგრამ მათი შინაარსი განსხვავდება ბაბილონურისაგან, — მათაც ზეპედი აქვს ხეთური ეროვნული შემოქმედებისა. — ხურით - მოძღვრების სტილი ხეთური ინდივიდუალური იყო, განსხვავებული ბაბილონურ - ასურულისაგან, და ასურეთის მიფეხები ამსოქმედნ მით, რომ ხეთური სტილის სასახლეები ააგეს („ბიტ-ხილანი“, ე. ი. ხეთური საარქიტექტურით). — სახელმწიფო ორგანიზაცია ხეთური განსხვავებულია ბაბილონურისაგან და ეგვიპტურისაგან, აგრეთვე კანონმდებლობას ხეთურს წმინდა ინდო - ევროპული ხასიათი ჰქონდა, რაცა ეგვიპტელთა ძლიერი იუქცხოვობადათ. საარწმუნოებრივი წარმოდგენანიც ხეთელთა სხვანი იყვნენ, ვიდრე იმ ერთს, რომელთა მეზობლად იგინი ცხოვრობდნენ, და სხვ. და სხვ.. თვით ლურსმულ ნიშანთა სახეც კი განსხვავდება ხეთური ნასესხები ბაბილონურისაგან! და რაც უნდა ჰქონოდესთ მათი მეთვისებელი მეზობელთაგან, ერთობ მათი კულტურა მათი ეროვნული ნამოქმედაჩი იყო, და რაც მათ სხვათაგან „აუღიათ“, იმოდენივე საკუთარი სალაროთაგან „მოუკრიათ“ გარემო ერთათვის.

მეთათხმეტე საუკუნეში ქრ. წინათ ჩვენ გვეწლება თვალ - წინ დიდი კულტურული სფერო ეგვიპტურ - ბაბილონურ - ხეთური: იყო რითული პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულება ურთი - ერთობა ეგვიპტისა, ბაბილონისა და ხეთის იმპერიათა შორის, სადიპლომატიო ენა მათ შორის ბაბილონური იყო, არსებობდა დიდი გაცვლა - გამოცვლა არა მარტო საქონელთა, არამედ კულტურული ღვაწლის ნაყოფთა, მაგრამ ამავე დროს ამ ერთს კულტურათაგან ერთი არ წარმოშობილა, მათნი კულტურანი ერთმანერთში არ გაქნილან, არამედ თვითორეული მათგანის ინდივიდუალობა მათ დაცემამდე და სრულ გაქრობამდე არსებობდა და თვალ - საჩინო იყო.

სწორედ მეთათხმეტე საუკუნეში შევიდა ჩრდილო არაბეთითგან ურთი შტო სიმიტთა ქანანის ქვეყანაში, — ებრაელები. ქანანის ქვეყანა სხვა, არა სემური, „განსხვავებული“ ხალხის საკუთრება იყო, პოლიტიკურად ეგვიპტის ბატონობის სფეროში. ბაბილონის და ეგვიპტის კულტურათა გავრცელების ნიადაგიც იყო ეს ქვეყანა. და რასაკვირველია ებრაელებმა შეი-

თვისეს იქ ყოველი ელემენტი მათთვის უცხო კულტურისა. მაგრამ შევხედავთ რა უკვე სრულ - ყოფილ სახეს ებრაელთა კულტურისა, თვალ - წინ გვევლინება ებრაული შემოქმედება. მიუხედავად ამ ეული ხალხის მიერ უცხოთაგან მრავალს შეთვისებისა ჩვენ ვხედავთ ებრაულ საარწმუნოებას, რომელიც არც ეგვიპტურისა და არც ბაბილონური, ებრაულ მწერლობას, რომელიც აგრეთვე არც ერთს უცხოს, დიდ მეზობელთა მწერლობას არ ჰგავს. ბაბილონური შექმნის ებრაისა და ბაბილონური „გილგამეშისანი“ მოთხრობილი ამბავი წარღვნისა, ისეა შეტანილი ებრაულ მწერლობაში, რომ უცხადესად სჩანს, თუ საითგან მიუღიათ იგინი ებრაელებს. მაგრამ ებრაულად ისეთ - ნაირად არიან ეს ბაბილონური ამბავნი მოთხრობილნი, ისეთი ბუნებრივი შეთანხმებით ებრაულ მონოთეიზმთან, რომელიც თავისებურისა და განსაკუთრებული ძველი აღმოსავლეთის საარწმუნოებათა შორის, რომ „ბიბლიაში“ იგინი ებრაული სულიერი შემოქმედების წმიდა ნაყოფად სჩანან. — ერთობ ებრაული კულტურა არ იყო ისეთი შრავალი - ფეროვანი და ისეთი ღირებულებების მქონე, როგორიც მაგ. ეგვიპტისა, ან ბაბილონისა. ებრაელებს არ დაუტოვებიათ ჩვენთვის არც პირანიდები, არც მრავალი უზარ - მხარის ტაძარი, არც გოდოლნი, მსგავსნი ბაბილონის გოდოლთა, არც სასახლეები, არც ქანდაკებანი და მხატვრობა, მსგავსნი ეგვიპტისა და ბაბილონისანი, — იერუსალიმის ტაძარც სოლომონისა თვით ებრაელთა გარდმოცემით ტვირელი ჰირამის მიერ იყო აშენებული, — ანბანიც ებრაული ერთი შტოა ფინიკიურითგან წარმოშობილი: არამელისა; ებრაელებს არც ძლიერი სახელმწიფო შეუქმნიათ, მსგავსი არეთისა, არც კანონმდებლობა ჰქონიათ, მსგავსი ჰამმურაბისა, და სხვ. და სხვ., მაგრამ ებრაელთა ხალხის მწერლობა უაღრესად ეროვნული შემოქმედების ნაყოფი იყო, ღარიბი პოეზიით, შენიღბებით, მაცრამ ბევრი სხვა თვისებით, რომელსაც ვერც ერთ მწერლობაში ძველი აღმოსავლეთის ერთს ვერ ვპოულობთ, და ამ ერთის, უდაბნოს ღმერთის მორწმუნე ერის მწერლობა შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამაც თვის „საღმრთო წერილად“ სცნო და სცნობს დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქრისტეს საარწმუნოებასთან, ქრისტეს წმიდა და ნამდვილი მოძღვრებასთან მას არაფერი საერთო აქვს, არამედ სრული წინააღმდეგობა მისი. —





თუ თვით ქრისტეს სარწმუნოება ამით ძლიერ-  
 რად ივნო, სამაგვიეროდ ქრისტეანული ეკლესია  
 „ძველი აღთქმის“ მიღებით და მისი ხელოვნუ-  
 რად და მიზან- შექონილად გადაბმით „ახალი  
 აღთქმის“ ოთხ სახარებასთან შედოიერესი სული-  
 ერი საჭურველით აღიჭურვა.

თავის, ებრაელთა ღმერთის, განმკითხველს,  
 დამსჯელს, მცნებათა მიმცემს მისგან ამორჩეუ-  
 ლი ხალხისათვის, მისი მორწმუნე კაცისათვის,  
 რომელიც მისთვის მუდამ სათნოა, თუ იგი მის  
 მცნებათ არ გადაუხვევს, არაფერი საერთო არა  
 აქვს სპარსთა აჭურა მანდასთან, ან ინდოთა  
 კრიშნასთან. არიელთა უზენაესი ღვთაება და-  
 საბამია სიწმიდისა და კეთილისა, მარადის წინა-  
 აღმდგომი ბოროტისა და ბოლოს მძლეველი მი-  
 სი. და აღამიანის განწყობილება მისთან მისი  
 შეურყეველი ნების- ყოფაა მასთან სახალისა  
 და შერთებისა. ეს სული იყო შემქმნელი არი-  
 ელთა საკვირველი სარწმუნოებისა და მათი ფლ-  
 რმესი აზროვნებისა, მიუხედავად მაგ. სპარსთა-  
 გან მრავალ უცხო სარწმუნოებრივ წარმოდგე-  
 ნათა შეთვისებისა, ერთობ მათი ისტორიულად  
 ცნობილი სარწმუნოების „სიტყვებისა“. — ამ  
 განსაკუთრებულმა არიულმა სულმა შექმნა  
 სპარსთა და ინდოთა დიდი კულტურანი, — მა-  
 თი მწერლობა და ხელოვნება, რომელნიც ისე  
 განსხვავდებიან სქესურთაგან, და ამავე დროს  
 თვითიველ მათგანს წმიდა ეროვნული ბეჭედი  
 აზის, რათგანაც სპარსული არიელი და ინდოე-  
 ლი არიელი იდენტურნი არ იყვნენ. და მათ  
 კულტურასთა ეროვნულობა სინამდვილეს, მიუ-  
 ხედავად იმისა, რომ სპარსთაც მრავალი რამ  
 აქვსთა შეთვისებული არა- არიელ მეზობელთა-  
 ჟან და ინდოთაც. პირველი სპარსთა „ან- ბა-  
 ნი“ ბაბილონური ან ელამური ლფრანულის მი-  
 ხედვით იყო შექმნილი, შემდეგ იგინი ხმარობ-  
 დენ არამეულ ან- ბანს, შემდეგ, არაბულს, და  
 სხვა, მაგრამ სპარსული კულტურის სემურად  
 გარდაქცევა მაშინაც არ მომხდარა, როდესაც  
 სპარსთ სემის მოდემის არაბებმა ძალით აწამეს  
 ისლამი; ეს სრულიად არა- არიული და სპარ-  
 სის ბუნებასთან შეუსაბამო სარწმუნოება, სპარ-  
 სთა არიულმა სულმა, საუკუნეთა განმავლობაში  
 ცოცხალმა, მანც დალევს მისი შემკრავი უცხო  
 ჯაჭვები და კიდე მოველინა კულტურულ კა-  
 ცობრიობას განსაკუთრებით იმ მწერლობით სა-  
 მუალო საუკუნეთა, რომელიც აღმოსავლეთის  
 მწერლობათა შორის საკვირველი სიდიდისა,  
 ბრწყინვალეობისა და მვენიერების მქონია. —

იგივე ითქმის მწერლობაზედ ინდოთა ერისა,  
 რომლის კულტურისა გადაურჩნას ხელს უშლი-  
 და ჯერი ადგილობრივი შავი ჯიში აღამიანთა,  
 რომელნიც ინდოთ, როდესაც პირველად ნახეს  
 იგინი, მაიმუნებად სჩვენებოდენ და მაიმუნებს  
 უწოდებდენ მათ, და ძლიერი დიდი ხნის შემდეგ  
 ისლამიც. — და იგივე ითქმის მთელ კულტურა-  
 ზედ არიელ სპარსთა და ინდოთა. ევრავითარმა  
 უცხო „გაველინამ“ ვერ შესცვალა მათ არსება-  
 ში ის, რაც მათი ეროვნული სულის შემოქმე-  
 დებას უნდა გამოეყო ბუნებრივ ნაყოფად.

თვით არაბთა მავალითი უაღრესად ყურად-  
 საღებია ამ მხრით. მათი გამოსევა ისტორიის  
 ასპარეზზედ უკანასკნელი გამოსევა იყო სემიტ-  
 თა უდაბნოთგან. ხოლო ის, რაც არაბთა ჰქმნეს  
 და შექმნეს მათი უდაბნოთგან გამოსევის შე-  
 მდეგ, ნაყოფია მათი ნიჭისა და ძლიერი სულის  
 ენერჯის გამოსა განსაზღვრულ გარემოცუ-  
 ლობაში, სადაც იგინი გაბატონდენ, მიუხედა-  
 ვად უცხოთაგან შეთვისებული ყოველი კულ-  
 ტურისა, რომელიც „მიიღო“ თითქმის „უკულ-  
 ტური“ უდაბნოს ერმა. — მუჰამედმა მის მიერ  
 მოცემულ ახალ სარწმუნოებაში უხედა შეიტა-  
 ნა იუდაიზმის და ქრისტიანობის ელემენტები,  
 მაგრამ მისი „კურანი“ არც თორა და არც სა-  
 ხარება, არამედ უაღრესად ორიგინალური, „სე-  
 მური“ ქმნილება, შექმნილი უდაბნოს არაბთა-  
 თვის, შესაბამი მათი სულიერ თვისებებთან და  
 ცხოვრების გავებასთან. მემვიდე საუკუნეთაგან  
 დაწყებული ნახევარი ათასეულის განმავლობა-  
 ში არ მწყვეტილა მათი ბოძოლა წინა- აზის  
 და მხელთა-შუა-ზღვის კულტურულ მსოფლი-  
 ოსთან და ბოლოს უზარ- მანარი სივრცე მათი  
 ბატონობისა კავკასიითგან და ინდოეთითგან და-  
 წყებული სამხრეთ ესპანიამდე განიცადეს ხალ-  
 ხთა და ერთა. ეს ენერჯია იმპერიითა შექმნისა,  
 რელიგიური ფანატიზმი და ურყევი დისციპლი-  
 ნა, რომლითაც არაბები ბრძოლის ველზედ ნაკ-  
 ლები ღირსების საჭურველით უფრო მრავალ-  
 რიცხოვან და კულტურისან მტრებსაც კი სძლე-  
 ედენ, მათთვის არავის „მიუცია“, არამედ ეს  
 მათი სისხლში, მათი სულში იყო, რომელიც მათ  
 მათი უდაბნოთგან გამოიტანეს. — და რამოდენი  
 რამ არ ისწავლეს, „მიიღეს“ მათ სპარსთაგან,  
 ბერძენთაგან და სხვა კულტურულ ერთაგან.  
 მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველ მათ ნამოქმე-  
 დარს ცხადად სახილველი ბეჭედი აზის ეროვნ-  
 ულ- ინდივიდუალური შემოქმედებისა; ჯერ  
 ეთქვათ ან-ბანი მათი, ერთი შტო „ფინიკიური“



სა“, ნოლოო ბოლოოს არაბულად ქცეული, შემდეგ კი მიცემული მათგან სხვა გამუსულმანებულ ცერებრისათვის საარწმუნოებასთან ერთად. „ათას - ერთი“ ღამე უფრო სპარსულ ზღაპართა კრებულთა, მაგრამ შესანიშნავი არაბულით დაწერილი. თხზულებანი არაბთა ისტორიკოსთა უდიდესი განძია დღესაც ისტორიის მეცნიერებისათვის, თუმცა ამ დარგის მწერლობა არაბებმა ბერძენთა საისტორიო მწერლობის შესწავლით და „გავლენით“ დაიწყეს და განავითარეს. მთელი ანტიური მწერლობა, მეცნიერული, ფილოსოფიური და სხვ., არაბებმა ღრმად შეისწავლეს და რაც ევროპისათვის მრავალი რამ დაკარგულად ითვლებოდა, მას შეუნახეს არაბული ენაზე და ევროპიელთა „შეთვისებულ“ ევროპაზე გადასცეს, მათ მიერ მრავალი ახალი ნააზრის და კვლევის მიმატებით (ვარსკვლავთ - მრიცხველობაში, მედიცინაში და სხვ.). აგრეთვე დაუფასებელია დღესაც არაბთა გეოგრაფების და მოგზაურობათა აღწერულების თხზულებები, და სხვ. და სხვ.— ერთობ არაბული მწერლობა ერთი უდიდესი დარგია ისოფლიო მწერლობისა სწორედ მისი ორიგინალით.— და რაოდენი რამ არ შეუთვისებია არაბთა ხელოვნებას, — ხელოვნებას სიტყვისა, ხელოთ - მოძღვრებისა და სხვ: უცხოთაგან, მაგრამ არაბთა პოეზიაც წმიდა არაბულია, თუმცა არა სპარსული სიდიდისა, და არაბული სტილიც ხელოთ - მოძღვრებაში ცნობილია როგორც არაბული, ერთი უშენიერესთაგან, რომლის ეროვნულობასაც პროფანის თვალის გაწარმევს ყველგან, სადაც არსებობს ხელოთ - მოძღვრების ძეგლები უზარ-მაზარ სიყრცეზედ მათი ბატონობისა. — კიდე მეტი, — ერთობ არაბთა შემოქმედებითა სულმა მთელი კულტურული სფერო შექმნა, რომელიც პირის - პირ დაუდგავა ქრისტიანულ კულტურულ სფეროს, ებრძოდა მას უპირატესობისათვის, — და იყო დრო, როდესაც მას მართლაც თითქოს ჰქონდა ეს უპირატესობა.

გვითხულოთ და ვსწავლოთ რა ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს, შედგენილს უნიჭიერეს სპეციალისტთა ხანგრძლივი შრომით, ვხედავთ, თუ რაოდენი რამ მიუღია ბერძნულ ენას ბერძენთა მეზობელ ერთა ენათაგან იმ კარემოცულობაში, რომელშიც ბერძენთა ერთი ცხოვრობდა რაოდენიმე სათსუელის განმავლობაში დღითგან მისი ჩრდილოეთითგან მოსლვისა, დამკვიდრებისა ბალკანეთის ნახევარ -

კუნძულზე და მისი მოსახლეობის გავრცელებისა ხმელთა - ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ ნაპირებზე, აგრეთვე ნაპირებზედ სამხრეთი იტალიისა, სიცილიისა და სხვ.: აუარებელია ბერძნულში „ნასესხები სიტყვები“: თრაკიული, ე. წ. აზიანური, ანუ მცირე-აზიური, ხმელთა-შუა-ზღვის ენათაგან, სემურითაგანაც კი, შენდეგ სპარსულითაგან და სხვ.. მაგრამ განვიხილავთ რა ბერძნულ ენას მთლიანად, იგი გვევლინება ვითარცა წმიდა ინდო - ევროპული ენა, და მისი განვითარება, რაიცა სწინას ბერძნულ მწერლობაში, ისეთი ძლიერი იყო და თანაც არა განსახლებული რომელიმე უცხო გავლენისაგან, რომ არ არსებობს სხვა ძველი ენა, რომლის უმაღლესი ხელოვნება აზრთა გადმოცემისა სიტყვით და შენიერება ბერძნულითაგან მიუღია, მრავალჯერ მეტი უცხოთათვის სვე მიუღია, როდესაც სამხრეთის კულტურა მის ირგვლივ შორს განსხივინდა და დღესაც კულტურულ ერთა ენები ბერძნული სიტყვებით არის აღსავსე, ბერძნული ენა, ეს ერთი უმდიდრესთაგანი და უშენიერესი ძველი და ახალი ენათა შორის, უდიდესი და უორიგინალესი ნაყოფი იყო ბერძენთა ერის სულიერი მოქმედებისა, და მეტიც რომ მიეღო მას უცხოთაგან, ეს ვერ შესცვლიდა მის „ბერძნულობას“, მის თვისებას ეროვნული ქმნილებისა.

თვით ანბანიც ბერძნული აქრეთვე სემური წარმოშობისაა. მაგრამ მხოლოდ სპეციალისტმა ხალხოგრაფმა იციის, რომ ძირი მისი და მაგ. არაბულისა ერთი და იგივეა, ხოლო უბრალო განმხილველი ამ ან-ბანთა უდიდეს განსხვავებას ჰპოვებს მათ შორის, მათს ნათესაობას არც კი დაიჯერებს! და გარდა იმისა რომ ბერძნულ ან-ბანს (როგორც ქართულს და სხვათ) ის მთავარი უპირატესობა აქვს სემურთა წინაშე, რომ მას მოეპოვება ხმოვანთა ვარდომოცემი ნიშნები, თვით ფორმამ ბერძნულ ასოთა შენიერების უაღრესს ხარისხს მიახწია ხანგრძლივი განვითარების შემდეგ. და ესე ყოველი არა მცირე, არამედ ერთი უდიდესი კულტურული ქმნილებათაგანია ბერძენთა ერისა.

რა გინდ ბევრი ესწავლოს ბერძენთ ხმელთა-შუა-ზღვის ხალხთაგან, ეგვიპტელთაგან, ბაბილონელთაგან, ხეთელთაგან და სხვა მცირე-აზიის ხალხთაგან, ნაყოფი მათი გონებისა, აზროვნებისა, დაკვირვებისა, ფანტაზიისა, რომელიც მათ გადმოგვცეს მათ დიდ მწერლობაში,

იმდენად დიდი, რომ ყოველი მათი მიერ უცხო-  
თაგან შეთვისებული ლეონინესად სჩანს, და იმ-  
დენად ეროვნულ ქმნილებად, რომ მხოლოდ  
ძირთა, დასაბამთა მკლავებს შეუძლია იხილოს  
იქ „არა-ბერძნული“ ელემენტები. ბერძნული  
ფილოსოფია, განვითარებული იონიის მოაზრე-  
თა ნააზრთაგან პლატონის იდეათა მოძღვრება-  
მდე და არისტოტელის ლოლიკაში „ეგვიპტის  
სიბერძნე“ არ არის. ბაბილონელთა „გილგამე-  
შინანი“ დიდი ქმნილება იყო, მას შეიძლება  
ძლიერ მოხრეული კავშირით ჰქონდეს „ოდის-  
სივასთან“, მაგრამ ჰომეროსის „ილიადს“ და  
„ოდისსივას“ სხვა არის, უფრო დიდი, სხვა სისხ-  
ლის და სულის ერის შემოქმედების ნაყოფი, —  
ეპოსი, რომელიც იდეამდე არც ერთი სხვა ერის  
ეპოსს არ გადაუჭარბებია. ეგვიპტური ლირიკა  
საყვარელია, მაგრამ საპფოს და სხვა ბერძენ  
ლორიკოსთა ქმნილებანი სულ სხვანი არიან, —  
სიდიდითაც და ღირებითაც. ჰეროდოტეს, თუ-  
კიდიდეს და სხვა ბერძენ მრავალ ისტორიკოს-  
თა თხზულებანი არ არიან ისტორიული შინა-  
არსის წარწერანი ბაბილონელ-ასსურთა ან ეგ-  
ვიპტელთა, არამედ ნამდვილნი „ისტორიანი“:  
მათი შემდეგ სწავრდენ იმავე წესით სხვა ერთა  
ისტორიკოსები და დღესაც კი მაგ. თუკიდიდეს  
„მეცნიერ“ ისტორიკოსად უნდა ვსცნოთ. რა  
გინდ „გავლენა“ ჰქონდეს ბერძენებზედ მცირე-  
აზიურ „მისტერიებს“, ბერძნული თეატრი, დრამა  
არა მცირე აზიელთა, არამედ „ბერძნული“  
შემოქმედება და სოფოკლესის ქმნილებათ ის-  
ევე არ უდევს საფუძვლად არავითარი მცირე-  
აზიური ქმნილება, როგორც თუკიდიდეს ის-  
ტორიის ასსურული მატრიანები ისტორიული ში-  
ნაარსისა. არც ბერძენთა გეომეტრია იყო ეგვი-  
პტური ან ბაბილონური მიწის-მზომელობა,  
არამედ წმიდა მეცნიერება ხაზთა, კუთხეთა და  
მოკულობათა განწყობილებისა, ურყევ-კანონ-  
იერებითი. არც მთელი „მეცნიერება“ ეგვიპ-  
ტელთა და ბაბილონელთა, ამ უკანასკნელთა  
ვარსკვლავთ-მრიცხველობაც კი, სადაც უფრო  
სჩანს ბაბილონელთა შემოქმედებითი ნიჭი, არც  
ჰავეს ბერძნულ მეცნიერებას, რომელიც უკვე  
მძლავრი დასაწყისია კანონთა აღმოჩენისა: პი-  
თაგორას, არხიმედეს, ევკლიდეს, ჰიპატრას  
და სხვანი სულ სხვა ხარისხზედ მდგომნი მეც-  
ნიერნი იყვნენ ვიდრე მაგ. თვით ბაბილონელი  
კიდიდეს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის  
ვარსკვლავთ-მრიცხველობის მეცნიერების წი-  
ნაზე და სხვ. და სხვ. —

როდესაც ბერძენთა ტომები ჩრდილოეთით-  
გან ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ ჩამოსა-  
ხლდენ (მესამე ათასწლეულში ქრ. წ.), აქეთგან  
ზღვის ნაპირები დაიჭირეს, შემდეგ მათი სახე-  
ლითა წოდებული პელოპონესისა და დასავლეთი  
მცირე-აზიისა, აგრეთვე ეგვიპტის ზღვის კუნძუ-  
ლები, მათი დახვდათ ადგილობრივ მკვიდრთა,  
მათთვის უცხო ტომთა დაწინაურებული, ძველი  
კულტურისა, და მათი რასაკვირველია ამ უცხოთა  
კულტურის ელემენტები შეითვისეს, მათგან ბე-  
რძე რამ „ისწავლეს“. ურთი-ერთობა მათი ეგ-  
ვიპტელბთან და მცირე-აზიელბთანაც კითხ-  
ული და მუდმივი შეიქმნა საუკუნეთა განმავლო-  
ბაში და მათგანაც შეითვისეს ბერძენებმა ბევრი  
რამ, რაიცა მკვლევართა მიერ ხილულია ბერ-  
ძნულ ხუროთ-მოძღვრებაში და ერთობ  
ხელოვნებაში. მაგრამ ეხლადვე რა ბერძნულ  
ხუროთმოძღვრებას, ქანდაკებას, მხატვრობას  
და სხვ. ბერძნული კულტურის სრული აყ-  
ვების ხანაში (მეშვიდე საუკუნეთგან ქრ. წ.  
და შემდეგ), განა პართენონი, ერეხთეონი და  
სხვ. ეგვიპტურ, ბაბილონურ, ან მცირე-აზიურ  
ხუროთ-მოძღვრების ქმნილებათა მსგავსნი არ-  
იან? ან განა ფიდასის, პრაქსიტელესის და შე-  
მდეგ მრავალი ბერძენ მოქანდაკეთა ქმნილებანი  
ეგვიპტურ ან ასსურულ ქანდაკებათ ჰგვანან?  
რომელ ეგვიპტელს ან ასსურ-ბაბილონელს, ან  
აზიანელს შეუქმნია „ზევის“ ან მითოსის „აფ-  
ოლიტი“, ან რომლის მოვლინებია ბაბილონს, ეგ-  
ვიპტეს ან მცირე-აზიას მხატვარი პოლიგნო-  
ტის სიდიდისა? სწორეთ ხუროთ-მოძღვრებისა  
და სხვა ხელოვნებათა დარგში გვევლინებიან  
ბერძენი როგორც უდიდესნი შემოქმედნი, თა-  
ვისებურ, წმიდა-ეროვნულ ქმნილებათა მო-  
მცენი კაცობრიობისათვის, ქანდაკებათა სიმე-  
ნიერით, სიკაცხლისა და მოძრაობის გადმოცე-  
მით დღესაც ვერ ნაჯობნნი, მიუხედავად იმი-  
სა, რომ მაგ. შეიძლება იონიის სვეტი „მცირე-  
აზიური წარმოშობისა“ იყოს, ან და ეგვიპტის  
ქანდაკებებს, ცივს და უძრავს, მაგრამ დიდ-  
ბულს, ბერძენ ხელოვნებზედ დიდი შთაბეჭდი-  
ლება მოხდინოს, და შეიძლება პირველად მათ  
ეგვიპტელთაგან ხელოვნებისა ბევრი რამ ეს-  
წავლოსთ...

სარწმუნოებრივი წარმოდგენანი ბერძენთა,  
მისტიკა, რწმენა „უცნობისა და უთქმელის“  
ერთის ღმერთისა, — „ერთისა“ — და სხვ. ამს-  
გავსებენ მათს და მათ უცხო მეზობელთა სარ-  
წმუნოებას, შეიძლება დიონისოს და აპოლონ

მცირე აზიითგან იყვნენ შესულნი ბერძენთა პანთეონში, მაგრამ განვიხილავთ რა ერთობ ბერძენთა სარწმუნოებას, მითოლოგიას და მისტიკას, ჩვენ თვალ-წინ აღიმართება უზარ-მაზარი შემოქმედება ქრისთა, განსხვავებული სხვათაგან, ისევე, როგორც, სული ბერძენთა განსხვავდებოდა სხვათა სულითაგან და თავისებურად ჰხედავდა მსოფლიოს და ჰქმნიდა თვის სარწმუნოებასაც. ამათ იქმნებოდა ძებნა ოლიმპისა სხვაგან თვინიერ საბერძენეთისა, სადაც „უცვდავნი“ და „ნეტარნი“ ცხოვრობდნენ, მსგავსნი კაცთა, კაცთა ვნებათა აღსავსენი და მათთან დაახლოვებულნი, ხოლო გამგენი მათი ბედისა, ნაზუნანნი მათთვის, მაგრამ ზოგჯერ დამსჯენნიც მათნი, ღმერთნი, კაცთა შევნიერებათა და ზოგჯერ ნაკლთა მქონენიც, განმცდელნი კაცთა ღმერთისა და ჰმუნვისაც, რომელთა ცხოვრებას ჰუმორიც არი აკლდა. და რომელ ერს შეუქმნია მითოლოგია აღსავსე ისეთი უცვდავი პოეზიით, როგორც ბერძენთა შექმნეს და რომელიც დღესაც ჩვენთვის უძვირფასესი გარდმონაცემია ამ საკვირველი ერისა. კავშირი ბერძენული მითოლოგიისა, ერთობ ბერძენთა სარწმუნოებისა ბერძენულ ხელოვნებასთან იგვევა, როგორც კავშირი ყოველი ერის სარწმუნოებისა მის ხელოვნებასთან, და ბერძენული ხელოვნების შევნიერებაც ბერძენთა რელიგიის სრული შესაბამის იყო...

ბერძენთა საზოგადოებრივი ცხოვრება სულ სხვა იყო, ვიდრე ეგვიპტელთა, ბაბილონელთა და სხვ., თუმცა შეიძლება მაგ. ჰამურაბის სამართლის ელენტი ბერძენ ტომთა სხვა და სხვა კანონმდებლობაშიც ჰპოვოს მკვლევარმა. საბერძენეთში ჩნდება „პოლის“, მოქალაქეთა სასახელმწიფო, — მუდმივ „თავისუფლებისათვის“ და „სამართლისათვის“ მებრძოლ „პიროვნებათა“; აქ ჩნდება „პოლიტიკური“ ცხოვრება, ჩნდებიან პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო საქმეთა განება და გარიგება პარტიათა მიერ, რომელთაგან ყველას აქვს პრეტენზია „ხალხის“, ან მისი „საუკეთესო“ ნაწილის სახელით სახელმწიფოს საქმეთა „საუკეთესოდ“ მართვისა და განებისა. ამიტომ ვიცით საბერძენეთის ისტორიითგან სახელნი იმ პიროვნებათა, რომელნიც მაშინ „ისტორიის ჰქმნიდნენ“, სახელნი საზოგადოების და სახელმწიფოს მოღვაწეთა, — მთავრობის უფროსთა, ხალხის ტრიბუნთა, რეფორმატორთა, ტირანთა და მათი მკვლელთაც, მხედართ-მთავართა და სხვ., და პიროვნების

მოქმედების დამფასებელი. საზოგადოებაში რასაკვირველია დიდ ხელოვნათა, ფილოსოფოსთა, პოეტთა და მცენიერთა სახელნიც იყვნენ ცნობილი და განდიდებულნი, რომელნიც დღესაც ვიცით და დაუფიქსარნი იქმნებიან კულტურული კაცობრიობისათვის. — ესე ყოველი სხვა ერთა ისტორიამ ძველი აღმოსავლეთისა არ იცის, — თვით სახელნიც აღმოსავლეთის კულტურულ ერთა წიაღში მოღვაწეთა, გარდა მეფეთა და რაოდენიმე მოხელისა ან სხვით რაითამე გაუმოჩენილი კაცისა, გარდმოცემულნი არ არიან.

აი ეს კულტურა ბერძენთა იყო პირველი დიდი კულტურა ევროპისა, რომელმაც საბერძენეთითგან დასავლეთსა და აღმოსავლეთს მოჰვინა იყვის სხივები, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის მიერ წინა-აზიის დაპყრობის შემდეგ. კიდევ შემდგომად ამისა, ქრისტიანობის ხანაში, მან განიღო თვისგან ქრთი მტო, — ბიზანტიური, ბერძენი მიზენის გამოს არა საესეებითა ღირსი ძირისა, მაგრამ მაინც საუკუნეთა განმავლობაში განმკრძობი ჰელენიზმისა, „მიმცემი“ ბერძენისა გარემო ერთათვის. ხოლო აქაც ვხედავთ, რომ მიუხედავად „მიცემისა“ ჰელენიზმისა და ბიზანტიური კულტურის მიერ და „მიღებისა“ გარემო ერთა მიერ, ამ უკანასკნელთ მაინც თავისებური კულტურანი შექმნეს, რომელნიც არ იყვნენ ბერძენული, ან ბიზანტიური-ბერძენული, არამედ ეროვნულნი, — სირიული, სომხური, ქართული და სხვანი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მის. წერეთელი

### პაეზიდენტის დასაფლავება



არც ერთი გვირგვინი, არც ერთი სიტყვა, უცხოეთს ყინავს ცრემლია სიცივე. დასრულდა წირვა — გაიღო კარი, კუბოს ეხვევა სამფური დროშა, ვით განწირული ბედის აკენი.

აქ განისვენებს ჭაღარა მკრთალი, საქმე მართალი და ისტორია, დავითის ხმალი — თამარის კუბო, მიწას, რომ სიმწრით აუწონია. დრო დროს ედრება სული სწორია,

Djobad Libra



ქართლის ცხოვრება ძველებით ნახნაფი,  
 მიჰყვება მსხვერპლი დაჩაქრულ ქვეყნის,  
 წლებებს აჩეხილს წითელი ხმალით.  
 სოლომონ მძეფე — თეიმურაზი,  
 დღეს დიდი ნოეს ქალარა სახე,  
 ჯვარზე გაკრული კოტე აფხაზი,  
 ტყვიით უკვდავი ილიას საქმე,  
 რამდენი ერთი, წამების ღმერთი,  
 იშვილს მიწამ განწირულ ბედის,  
 აყვისტოს ლამე კრწანისის ველი,  
 ქრილზე ქრილობა ახალი ძველი.  
 და ეგ საფლავიც გულს შემზარავი,  
 გადახიზნული ბრძოლების ბინა,  
 ცრემლებში სძირავს დაკვილ წლებებს,  
 სიცოცხლეს ახშობს მსოფლიო ყინვა.  
 მითხარი სადა ხარ კაცობრიობავ,  
 სადარის რწმენა მართალთ თვისება,  
 ჩამოდის სიხსლი მზის სხეულიდან,  
 როცა ძალა სძლევეს ერის ღირსებას.  
 შენ გევედრები უცხო სანარეს,  
 მასპინძელს გულით საკაცობრიოს,  
 ბედი ქართლისა სხეულს გაბარებს,  
 რომ დაუბრუნო თბილისის ლამეს.  
 შენგან საიამე ბევრი ვიგვრძენით,  
 შენს წმინდა სახლში ვინდიდით ლოცვებს,  
 მტერი ქრთია გზა არის გრძელი,  
 დიდო ევროპავ ... ასე იცოდვე:

არი არის ბერწი ქართული მიწა,  
 დატრიალდებო ახალი ღერძი,  
 ბრძოლების ძეგლის თვითი კუბოს ფიქარს,  
 გულში ჩაიქრავს ქართლის ანდერძი.  
 დღეს კი:  
 არც ერთი გვირგვინი, არც ქრთი სიტყვა,  
 უცხოეთს ჰყინავს ცრემლის სიცივე,  
 დასრულდა წირვა გაილო კარი,  
 კუბოს ეხვევა სამფერი დროშა,  
 ვით განწირული ბედის აკვანი.

გ. ყიფიანი.

15 - 1 - 53.

საშუაარი მარჩიელთან

ჰა... აიღე ჩემი ხელი  
 შრომის დანით დანახევი,  
 თუ გადაჩრა რამე ძველი  
 ძარღვის ხაზზე წანაწერი.  
 ეგ მაცდური გამოხედვა რად შიმალავს აწმყო,  
 წარსულს,

ნუ ატარებ ქალო ავსტულს,  
 შემომხედე თვალით თვალში.  
 რა ნომელის მომავალში  
 გაბედულად მითხარ—მითხარ,  
 შემოგახვე მე შენ წილას  
 მარჩიელი გახსენ გული,  
 აჰა... ფული როგორც საზრდო,  
 ყალბ „სიმართლის“ სიყვარული.  
 შემომხედა დარცხენილმა და დაიწყო  
 სიტყვა ასე:  
 „გიყვარს ქვეყნად სილამაზე  
 პირდაპირი გზა მართალი,  
 ვით ღრუბლების სიხარული შენი ბედი  
 ეძებს ავდარს,  
 განთიადზე წარმოიშვი მზე შესა დღისას  
 დაგიღამდა.  
 ნუ მოელო რაც დასტოვე  
 ვერი იხილავ ევრასოდეს,  
 ქვეყნის ბრუნვას ნუ ენდობი შენ ბინაში  
 იყავ მარტო,  
 რასაც ნატრობ ზღაპარი  
 ლურჯ ფერებში სანავარდო“.  
 მითხარ—მითხარ—კუდიანო, ნუ დამხოვავს  
 სიტყვა თქმული,  
 არ ვინ დამჩრა შორეულში  
 მშობლიური სიყვარულით?  
 სიჩუმეა... ზმა არ ისმის პასუხისთვის  
 მორცობს ქალი,  
 აღარც დედა... ძმებ... მამა...?  
 აღარც მიწა ვინ მიწამა...?  
 „შენ დაწყნარდი ქვეყნის გიჟო  
 მე ვიამბობ ბედის ამბავს:  
 „იქ“ წყლის გაღმა დამწვარია  
 სიყვარულის თეთრი ვარდი,  
 მძიმე დარდით მიწა დადნა  
 ყვავილთ კენესა ცრემლებს  
 იშრობს,  
 მებაღებ კი განთიადზე ხეხე თავი ჩამოიხრჩო.  
 შენი სატრფო? სხვას გადაჰყვა წითელ რკინით  
 მკერდი ნამტვრევი.  
 გადავიდა ძველის ძველი  
 ქვეყნის გიჟო ვის უმღერი?“  
 მე რას მერჩი კუდიანო, კვლავ დარჩება მიწის  
 მცველი,  
 ჩემი ცრემლი ბაღს არ ავენებს  
 განთიადი მოქაოეს დილას  
 დამწვარ კვირტებს სადაც სძინავს  
 გააღვიძებს ყვავილთ ნოდგმა,  
 შენი ბოდვა გადაჰყვება

სამერმისოდ განვილილ ტალღებს,  
 მზე შეაღებს ღამის კარებს  
 სასხლის დენით ნაკამკამებს,  
 ყინვის საზღვრებს გაჰკვეთს გული  
 ქვეყნიური სრეყარულით,  
 დღეს იხზავლე როგორც ყვავი, კვლავ მიმღერე  
 სულთათანას,  
 სანამ ლოდად დაეშვება არეული ეს ქვეყანა.  
 წითელ ხანას ახარხარებს დემონების ციდან  
 დენა  
 ყოველივე ცეცხლში დნება  
 აღარა ჰყავს მიწას დედა,  
 განწირული იწვის სული, რწმენა ბერწი,  
 რწმენა კვდება...  
 შენ მიმღერე სიხარული, სიხარული სულ  
 სხვა გვარი,  
 „იქ“ წყლის პირზე სოფლის ღამე  
 ტყის ფოთლებში ციდან მთვარე  
 მთიდან სიოს სითამამე  
 ქალწულების კოცნა ხვევა,  
 ღამე შიშით ატანილი ჭინკები და საცხეველა  
 გვედრები... არ თქვა ვარი.  
 „იქ“ ხომ დარჩა ყველაფერი საყმაწვილის  
 თანამგზავრი?  
 ქართლის გვარი მამა - პაპა  
 და უნიტყვო ცივი ხმალი?  
 მაწ რას მტერი მარჩიელთა სახლს აიგებს  
 ნასახლარი,  
 წითელ ხმალის ნასისხლარი  
 ძველი არის, ძველზე ძველი,  
 ორთავიან არწივისგან კუბოებზე წანაწერი.  
 თუ მოკვდები როგორც მწერი  
 რა მექნება მე საწყენი  
 უცხოეთის მძიმე, ლოდზე იქნეს ჩემი  
 წანაწერიც,  
 იდეგრძელებს ცივი ცრემლი, სიყვარულის  
 თეთრი დედა,  
 თვალ წინ ეხედავ, ჭრილობებში როგორ ისმის  
 ხალხის კენესა,  
 საწამლავის ფესვებს თესავს  
 ჩრდილოეთის შავი შხამი,  
 თუ ამ ღამით ჩემი კუბო  
 აიწევა უცხო მხრებზე,  
 გთხოვ დამხედო გამხმარ ხელზე  
 დაინახავ გულის ძეგრას,  
 ასე იყო ძველის ძველად  
 ძვლებს სტოებდენ სულის  
 მძველად.  
 გ. ყიფიანი

### გასვენება შემოღობით

სექტემბრის დამღევს: გადუღები წვიმა  
 და ქარი,  
 და ოქტომბერი გაასვენა ფუტკრების გუნდში.  
 შემოღობის მზის ალმაცურმა ღიმილმა  
 ბრუნდმა  
 გამოიგლოვა დაცვენილი ფოთოლთ ღამეჭარი.  
 სექტემბრის დამღევს წამოვიდა წვიმა და ქარი  
 და ოქტომბერი გაასვენა ფუტკრების გუნდში.  
 ესლა ფუტკრებმაც მიაშურეს ზამთრის  
 საბუღარს;  
 სადაც შეკრიბეს ცაცხვებიდან თაფლი  
 და ფიტა —  
 — იღუმალ ძალით: უმალლესმა რომ მიანიჭა.  
 ესლა ცაცხვებიც ტანთ ისხამენ ოქროსფერ  
 სუღარს,  
 და ფუტკრის გუნდი უბრუნდება მყუდრო  
 სასუღარს  
 სადაც ზაფხულში შეაქროვა თაფლი და ფიტა.  
 მალე გატყდება შენი მზერის ნათელი სხივიც...  
 და სულთათანას ვიგალობებს ზუზუნის სკისა.  
 მოგაგონდება მშობლიური კაშკაში ცისა;  
 მაგრამ მივიღებს ყრუ სამარცხეცხო და ცივი.  
 გულში ჩაგყვება ოქტომბრის მზის მწუხარე  
 სხივი  
 ძველი ცაცხვების შრიალი და ზუზუნის სკისა.  
 გიორგი გამყრელიძე  
 მოგონება შემოღობის  
 დალლასი. 1953 წ.

### ზრიგოლ რობაჰიმს

გრიგოლ რით გაჰქოთი არ ვიცი,  
 სალ კლდისა შესადარებო;  
 ალმასის ურმისა ჭაპანო,  
 ოქროს შემბულო ხარებო;  
 დილით კი მზისა სხივებო  
 საღამოს ვარდის ქნარებო,  
 ქარი - ბუქის გამწმენდ ნიავო,  
 და სამოთხისა დარებო.  
 არგუნეთ კალამს ბრწყინვალე ბედი,  
 ქართული მზისგან ანარეკლები,  
 ვიცოდე ნეტავ კიდევ ვინ მოვა,  
 კარდუს ჩონგურით დანაკვესები.

ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში


B. პროპაგანდის არქივი. \*)

V.

ამ არქივში მოიპოვება ერთად-ერთი ხელნაწერი. სხვა ყველა დაბეჭდილი წიგნებია.

I. ხელნაწერი: „დიონისიო არიოპაგელისა ათინელი იეპისკოპოზისა ტიომითეს მიმართ ეფესელთა ეპისკოპოზისა საღმრთთა სახელთათვის“. ნაწერის ქალაღზე მხედრულად, შავი მელნით. ყდა სუბუქ ქალაღდისა. ზომა: 35 X 22 სტმტ. დაწერილია ერთ სირად. სტრიქონთა რიცხვი ძალიან ცვალებადია. გვერდები არაა მუდამ სავსე, ზოგან ცარიელიც კია. არზია დიდი, ზედ აღნიშნულია თუ ვის განუმარტავს ტექსტი: „მაქსიმე“, „გერმანოს“. ძველს თან ახლავს ეფრემ მცირის განმარტებანი, გადმოღებულინი მაქსიმესა და გერმანოს თხზულებათაგან. ტექსტის შესავალი ეფრემ მცირისა მოთავსებულია უსათვალავო სამ პირველ ფურცელზე. მესამე კაბადონის პირველ გვერდზე წარწერა იმყოფება იტალიანური, რაც გვაცნობებს: ეს ხელნაწერი საკუთრება ყოფილა ანტ. ვლასკოვისა, ვისაც იგი პროპაგანდისათვის შეუწირავს 17 აგვისტოს 1867 წ. მე-284 გვერდის (ხელნაწერს სულ ამდენი გვერდი აქვს) ბოლოს ანდერძი გადამწერისა: „დიდება შენდა სამებაო წმიდაო ღმერთო, რომელმან წარამართე აღსრულებად წმიდისა ამის წიგნისა დიონისიესისა. ხელითა ჩემ უღირსის მღუდლის ანტონ მოძღვრის თქმანოვის, კათოლიკე მრევლთ შემცლელის ქუთაისის ქალაქისა, სამოციქულო მისიონარის მიერ: ალიწერა ხუცურის წერაილიდგან იონანე დეკანოზის მიერ ტფილის ქალაქის ჯუარის საყდრისა, ივნისის თვის ვ სა (6) ქრისტეს ქრონიკონს 1757 სა.: და ჩემ მიერ მხედრულად კვალად ივნისის თვის 20 სა 1836 სა. წელსა ქრისტეს ქრონიკონსა, დაწყებული თებერვლის პირველიდგან:“. ამით ირკვევა, რომ ან. თუმანიშვილს ეს თხზულება გადაუწერია 1836 წელს.

როგორც ყველამ უწყის, დიონისის თხზულებ



თქვენ მკვეთრმა ენამ აამოქმედა, ძველ მამა - პაპთა წმინდა ქართული, ენის სისწორის ასულ მწვერვალებს, სახელი თქვენი თან აქვს დასმული.

ტიტე ჩხიძე

ბათა თარგმანი ლეწლით ეფრემ მცირისა. სირცხვილი-კია, რომ ეს ჩინებული თხზულება ჯერედ დაუბეჭდავი იმყოფება. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ეხლა სადღეხვალიოდ ათას რამეს ბეჭდენ, ამ სახის საშვილიშვილო ნაწარმოებისათვის-კი არც დრო სჩანს და არც სახსარი.

II. ნაბეჭდთა შორის უნდა აღვნიშნოთ:

1. ბიბლია — მთელი, ძველი და ახალი აღთქმა, ხუცურად, უშეუღებელი ტანის წიგნი: სულ 1093 გვერდი. დაბეჭდილი მოსკოვს 1843 წ. ბრძანებითა და წარსაგებელითა საქართველოს მეფის ბაქარ ვახტანგის ძისათა. მხედრულად: „მიუბოძეთ: წილია: ესე: დაბადება: გარსუენის: ვვიღს: ნიკოლოზს: ნეტარად ხუნებულის: საქართველოს: მიფის: ბაქარის: სულის მოსახსენებლად. ეს ბიბლია საქართველოშიც იშვიათია და საქართველოს გარეთ აქ ევროპაში ვგონებ ერთად-ერთი ცალია.

წიგნში ჩადებულია ვრცელი ისტორიული მოთხრობა იტალიანურად, რაც შეუდგენია გორელ სომეხ მღვდელს დონ სტეფანე ავთანდილს სომხური თვალსაზრისით. ზედ ორი ქართული მინაწერი აქვს: **ა.** „ვიხილვ, წავიკითხე და გავიგე ჭეშმარიტება ამაებისა მე დამიანე სააკოვმან, მყოფმან აქ პროპაგანდაში წლიდგან 1883 - 1890“. ეს დამიანე შემდეგში ქართველ კათოლიკეთა მღვდელი იყო ქუთაისს. **ბ.** „მე წავიკითხე მაგრამ ყველამ არა გპოე ჭეშმარიტება, მეტადრე რაც შეეხება სომხების ისტორიკოს ტყუან ნოსე ხორენის ისტორიიდან მოთხრობას, მე მღვდელი მისელ თამარათი, ახალციხელი 1902“. ცნობილი მ. თამარაშვილია.

2. ტრიოდიონი „რომელ არს სამსაგალობელი“. ხუცურად. დაბეჭდილი მოსკოვს 1863 წ.

3. სხვა ტრიოდიონი უთავო, სჩანს, პირველზე უფრო ძველი. მე-548 გვერდზე შემდეგი ანდერძი აქვს ლიტურგიის ისტორიისათვის საყურადღებო: „უწყებულ იყავნ ესე ყოველად, რამეთუ საგალობელი ესე ნათლის მკემელისა ორმეთცთა, ხარების წინა დღისა, თვით ხარებისა, და ხარების წარგზუნისა, მთავარანგელოზის საგალობელითურთ, არცა ბერძულ მარნავში იყო და არცა რუსულში და რადგან საქა-

\*) იხ. დასაწყისი „ბ. ქ.“ № 13 - 14.



როთველოში სიმკვიდრე იყო თითქმისა და არა სადმე იშოვებოდა, ამისთვის მე იმის სიმადლის (ალბად ირაკლი მე-II-ის) კარის მღვდელმან ქრისტეფორე აქ მარხვანში დაებეჭდე, მოსახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა“.

4. **პარაკლიტონი** ხუცურად, დაბეჭდილი თბილისს 1772 წელს ირაკლი მეორის და დარეჯან დედოფლის ბრძანებით და ანტონ I კათალიკოსის კურთხევით. მკორე გვერდზე გამოსატულს სამების სურათს წარწერა აქვს: „სამებაო წმიდაო აღიდგე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის გეორგიდ განმასხლბელი მეფე **სრულიად ქართლისა და კახეთისა** ირაკლი“. ამ პარაკლიტონში (სალიტურალიო წიგნი მთელი წლის შეიღებული სათვის განკუთვნილი) ანტონს „მეტანისა ქართული, რაცე ხელთ ჰქონია. დანარჩენი ბერძნულია და ზოგიც სლავიანურისაგან ვადმოუღია სხვა და სხვა პირთა დანმარებით. ანტონ I-ს ეს ტექსტი შეუდგენია მწირობაში, როცა, საქართველოდან განძევებული „გაფრანგების“ გამო, არხიეპისკოპოზად იყო ელადიმირისა და იეროპოლისა.

5. **პარაკლიტონივე**, დაბეჭდილი მოსკოვს 1861 წ.

6. **კურთხევანი** მცირე, მოსკოვს დაბეჭდილი 1861 წ. კურთხევანი ეკლესიაში სახმარებელი წიგნია სხვა და სხვა ლოცვებისა და საიდუმლოების შესასრულებლად.

7. **კონდაკი**, რომელიც შეიცავს ი. ოქროპირის, ვასილ დიდის ლიტურგიისა და განახლებას, დაბეჭდილი თბილისს 1783 წ. 12 აგვისტოს, ირაკლი მეფის, დარეჯან დედოფლის ბრძანებით და ანტონ კათალიკოპოსის კურთხევით. მეფის წარწერას აქ სხვა ფერი დაჰკრავს: „სამებაო წმიდაო აღიდგე მადიდებელი შენი მეფე **ყოვლისა საქართველოჲსა** ირაკლი“. ალბად შედეგი რუკ სეთთან ხელწვერულებისა 24 ივლისს 1783 წ.

8. **ჟამნი** „საფასითა და წარსაგებელითა ტვილიისის მიტროპოლიტის ათანასი თავადი ამილახორისათა: განკეთდა საბეჭდავე ესე და დაიბეჭდა ღვთივ-სულიერის წიგნი ესე **ჟამნი ზედამხედველობითა თავადი დიმიტრი ციციანოვისათა**“ მოსკოვს 1768 წ. სულ 826 გვერდია. მე-790 გვერდზე ღვრბი მიტროპოლიტისა. ღვრბის გარშემო: „მიტროპოლიტი ტვილისისა ათანასი თავადი **ამილახორვი**“. აქაც გვარი უცვრუ სულად შევარდებულა. საუცხოო ხილია.

9. სხვა **ჟამნი** გამოცემული ტვილისს 1872 წ.

10. **დამასკელისა**. იმპერატორი იულიუსბედ

პეტრეს ასულის ჟამს, „ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისაჲთა... საფასითა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოპის იოსებისათა, ვაკეთდა საბეჭდავე ესე და დაიბეჭდა წმიდაჲ ესე იოანე დამასკელი“ მოსკოვს 1744 წ. ტექსტი ხუცურია. წიგნი დაზიანებული. სულ 421 გვერდისა. შინაარსი: იოანე დამასკელის „მართლისა სარწმუნოებისათვის“. თარგმანი არსენ იყალთოელისა.

11. **თვით-მასწავლებელი**, „რომელი იპყრობს თვისა შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონისა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“: შეთხზული „მმსახურებელის სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოის მხრისათა, ნადეორის სოვეტიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვისაგან, სანკტ პეტერბურგს სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისა“ 1820 წელს. სულ 187 გვერდი აქვს.

12. **La grammaire géorgienne par l'Archiprêtre Eusebius, fils de David Tchoubino, Aumônier des scars de la Géorgie Heraclius et Géorge** (ასეა), **B. E. A. Rottiers, imprimé à Tiflis 1818** მოძღვნილი კათოლიკეთა მ. სიონის პრეფეკტის მ. ფილიპე ფორანო კაპუჩინისადმი. მცირე წიგნაკია სულ 128 გვერდისანი, მაგრამ ფრიადი ლამაზი მხედრულ-ხუცურით.

VI

**დამატება.** კაპუჩინთა მისიონერებმა ფრიად დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს კულტურულადაც. მათ შორის თავი იჩინა მ. ბერნარდო მარია ჩიოფფი, რომელმაც ათი წელი დაჰყო საქართველოში. 1680 წელს ის უკვე ნეაპოლში იყო. მ. თამარიშვილს უნახავს მისი ქართული ხელნაწერები, წინეთ რომ „ტორე დელ გრეკო“-ში იყვნენ, ეხლაკი, რაც ვადარჩენილა, ნეაპოლის საერო ბიბლიოთეკაში ინახებიან. ამათგან საყურადღებოა: ზღაპარი „ბაჰამს“ ერანის მეფის თავ-გადასავალი, გვ. 113. ამ წიგნთან შეკრული ყოფილა **ქართლის ცხოვრება 40** გვერდიანი ნაწყვეტი, 1250 წლის ამბების ისტორია. ვადწერილი ნ. ბერნარდოს მიერ უფრო ძველი დაზიანებული დედანიდან. ოთხთავი მხედრულად. (იხ. მ. თამარიშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, ტვილისი 1902 წ., გვ. 255; 682).

რას საკვირველია, ამ ცნობამ მეტად დამაინტერესა. მოვნახე ჯუზეპე გაბრიელის კატალოგი აღმოსავლური ხელნაწერთა იტალიაში (ფლო

„მეფის ტყაოსნის“ ტექსტისათვის

(ვაგრძელება\*)

VIII

როდის ცხოვრობდა მიახლოებით შესხი მე-  
 ლექსე, ავტორი „ვ. ტ.“-ის უმთავრეს ჩანართ-  
 თა, შემასუსხელი და შემკაზმველი რუსთაველის  
 ქმნილებითა? ს. კაკაბაძეს მესხი-მელექსის „და-  
 სასრული“ „ვ. ტ.“-ის გმირთა სიკვდილის შემ-  
 დეგ დაწერილი ჰგონია, რათგანაც იგი ასე იწ-  
 ყებს „დასასრულს“: „გასრულდა მათი ამბავი  
 ვითა სიზმარი ღამისა, გარდახდეს, განდღეს სო-  
 ფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისაო“. პ. ინგორო-  
 ყვას კი ეს ელექტური სტროფი საქართველოს  
 დაცემისათვის გლოვის გამომახილად მიაჩნია,  
 მონღოლთა ბატონობის დროითგან (მე-XIII ს.  
 მეორე ნახევრითგან მე-XIV ს. დასაწყისამდე).  
 მაგრამ ჩვენი აზრით იქნის ოპონივე სტრუქტურის.  
 პირველი იმიტომ, რომ იქნის სიკვდილის ამ-  
 ბის (ძლიერ გვიანდელი დამატების) ეს საუკუ-  
 ნებით არის დაცემული მესხი-მელექსის  
 ენისაგან, — ეს უბრალო მკითხველისათვისაც კი  
 თვალსაჩინოა, — ხოლო მეორე იმიტომ, რომ

მონღოლთა შემოსევის და ბატონობის დროს  
 საქართველოს დაცემისათვის გლოვა კი არ გვე-  
 სმის მესხი-მელექსის ამ იწუხარებით ნათქვა-  
 მი სტროფითგან, არამედ აქ არის მხოლოდ აღ-  
 ნიშნვა საზოგადოდ ცხოვრების „საწყუთრობისა-  
 სა“, ყოველთა მოკვდაობისა და აღსასრულისა,  
 და „ვ. ტ.“-ის გმირთაც „საწყუთრობედ“ და  
 ჟამის სიმუხთლედ, სოფლის მიწნდობლობა-  
 ზედ, უხანობაზედ და სხვ. ჩივილი მესხ-მელექ-  
 სეს უფრო ხშირად აქვს ნათქვამი თვის ჩანა-  
 რებებში ვიდრე რუსთაველს თვის მითხრობაში,  
 მაგრამ მონღოლთა ჭირის გამოგლოვას ვერც  
 ერთს შეესწამებთ და ვერც მეორეს. — მესხი-  
 მელექსის ჩანართთა ესა ცხადად მოწმობს, რომ  
 იგი რუსთაველის ენისაგან დიდი დროით არ  
 არის დაშორებული. მესხი-მელექსე შეიძლება  
 უმცროსი თანამედროვეც იყოს რუსთაველისა, მა-  
 გრამ სრულიად არა მონღოლთა მძალეობის  
 ეპოქის კაცი. ხოლო როდის შეაფსო და შეკაზ-  
 მა მან „ვ. ტ.“-ი, — რუსთაველის გარდაცვალები-  
 სა, ან მისი მართლად ბერად შედგომისა (თუ ეს  
 ლეგენდა არ არის, არამედ სიმართლის გარდ-  
 მოკვეთა), ან მისი ცხოვრებაში მომხდარა რომლი-  
 სამე განსაკუთრებული ამბის შემდეგ, ჩვენ არ  
 ვიცით. მხოლოდ ერთია ცხადი: რუსთაველი რომ  
 შთა შერქმის ერთსავე ყოფილიყო და მონ-  
 ლოლთა დროის კაციც, ღრმა მოხუცების შემდეგ  
 გარდაცვლილი, როგორც ეს პ. ინგოროყვას  
 ჰგონია, და „მანიქველიც“, მას ჟამთა-აღმწერე-  
 ლი მოიხსენებდა როგორც „ვ. ტ.“-ის, ინგორო-  
 ყვას აზრით „მანიქერი“ თხზულების ავტორს,  
 — შოთა „კუბრს“, რომელიც მას სძულდა, და  
 ამით მთავარ მიზეზს იტყობდა მისი განკიცხვი-  
 სა. და მესხი-მელექსეც „მანიქველის“ თხზუ-  
 ლების შევსებას და შეკაზმვას თვის ძალას არ  
 შეაძლებდა, თუ თვით იგი არ იყო „მანიქვე-  
 ლი“. ხოლო მისი „მანიქველობა“ არსად სჩანს,  
 როგორც არსაიდან სჩანს არავითარი „მანიქე-  
 ვლობა“ იმ დროის საქართველოში.\*)

\*) იხ. დასაწყისი „ბ. ქ.“ № 12 - 13 - 14.

რეცი 1930, გვ. 87 - 89). იმედი ვამცრუვდა.  
 ზემოდ აღნიშნულ ძეგლების სახსენებელიც  
 ვერ ვნახე ამ აღწერილობაში. წერილით მიმე-  
 რთე ნეაპოლში ნაციონალური ბიბლიოთეკის  
 გამგობას. 29 ნოემბრის 1952 წლის პასუხში  
 მ. ბერნარდის ეს წიგნებია ჩამოთვლილი: 1. ქა-  
 რთულ ლექსიკონი ნიკრე; 2. ქართული-იტა-  
 ლური ლექსიკონი; 3. სასულიერო წიგნაკი; 4.  
 საბოლქმეო ნაწერი სული წმიდაზე; 5. წმ.  
 ფრანჩისკე სალეველის ფილოთეა ქართულად;  
 6. წერილები, ამ წერილთა ნაწილი მ. თამარა-  
 შვილს გამოუქვეყნებია თვის თხზულებაში;  
 7. კარდინალ ბელარმინის კატეხიზმი მცირე,  
 ქართულად; 8. საქმე მოციქულთა, აღმად მთე-  
 ლი სამოციქულო გადაწერილი სხვა სამოციქუ-  
 ლოდან. ეს არის და ეს. ხოლო გავიგე, რომ  
 მ. ბერნარდოს ხელნაწერთა ზოგი ცალი შეტ-  
 ძენია აღმოსავლეთის ინსტიტუტს ნეაპოლშივე.  
 იქაც მივსწერე, მაგრამ ვერცე პასუხი არ სჩანს.  
 ველი-კი. მართალია ზოგიერთ ხელნაწერთა  
 შინაარსი უფრო ვრცელია არის განსახილველი,  
 მაგრამ ეს სხვა დროს. მ. მ. თარხნიშვილი

\*) სრული უსაფუძვლობა რუსთაველის „გა-  
 მანიქველებისა“ პ. ინგოროყვას მიერ დაამტკი-  
 ცა ზ. ავალიშვილმა (იხ. მისი „ვ. ტ.“-ის საკი-  
 თები“) და აქ ამხედ შედ-მეტი იქნებოდა სა-  
 უბარი.



კიდევ რაოდენიმე სიტყვა მეხსი-მელოქისა და სხვა ინტერპოლატორთა ჩანაწერთათვის: ვახტანგის ვერსია „ვ. ტ.“-ისა აგრეთვე მეხსი-მელოქის მიერ შევსებული და შეკვანძული დედნითგან წარმომდინარეობს. თორღვე სტროფი, რომელიც შეიძლება არ იყოს შეტანილი ვახტანგის ვერსიაში მეხსი-მელოქისა ჩანაწერთაგან, გამართლებული იქნება გადაწერლისაგან, ან შეიძლება ვახტანგის „კრიტიკითაც“. ვახტანგის ვერსია, როგორც ცნობილია, თავისუფალია აგრეთვე დანატყობათაგან; რასაც ვახსაყუთრებულ კურსივლებს უძღვნა პ. ინგოროყვამ. — როგორც ზემოთ აღვნიშნეთ; არც ერთი ხელით-ნაწერიც არ მოგვეპოვეთ, თავისუფალი მეხსი-მელოქისა ჩანაწერთაგან. ის ჩანაწერები, რომლებიც აკლია შავ, ხელით-ნაწერებს G-ს, K-ს, B-ს, მეხსი-მელოქისა არ არის, არამედ სხვა ინტერპოლატორთა, გვიანდელია: ამ უკანასკნელთ, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით; არა მარტო რუსთველის სტროფთა შუა ჩაურთავსთ მათი სტროფები; არამედ მეხსი-მელოქისა ჩანაწერებიც შეუვსიათ. ზოგჯერ ეს ინტერპოლატორები მიზან-მეწონილად იქცეოდნენ, რათგანაც, თუ ზოგიერთ სტროფს მეხსი-მელოქისა დაესტოებთ ტექსტში და შემდეგ ჩანაწერს გაშვავებთ, მითხრობა გაუგებარი ხდება. ამიტომ, თუ ზოგი უმეორე სტროფი ამ გვიანდელი ინტერპოლატორთა არ შეგვიტანა ჩვენ გამოცემაში „ვ. ტ.“-ისა, ზოგი განზრახ შევიტანეთ, რათა გვეჩვენებია მიზანი მათ მიერ „ვ. ტ.“-ის ტექსტის შევსებისა.

მეხსი-მელოქე ზოგჯერ მარტლაც უხერხულად ჩაბლათავს ხოლოც თავის სტროფებს რუსთველის ტექსტში. ერთი მაგალითი ზემოთ აღვნიშნეთ, — დაუმთავრებლობა „ვ. ტ.“-ის მითხრობის ბოლოთაგან, რამაც გვიანდელი შემსუვსებელი აძულა მეხსი-მელოქისა ამ ჩანაწერის ვაგრძელება დაეწერა (ინგოროყვას აზრით საზრის თმოგველი IV). ან სხვა მაგალითები: როდესაც ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი და თ ი ნ ა თ ი ნ ი მერვედ ეთხრებინან ურთიერთს „გ ა ყ = ჩ ა ს“ იძულებულნი ტ ა რ ი ე ლ ი ს შევლის მოვალეობით, ავთანდილი „მივალს გულითა ჩრეტითა“, ხოლო თინათინი, „მხე ტირს სიხსილისა ცრემლითა“ (IV, 33). აქ იტყვის რუსთველი შესანიშნავ სტროფს: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღონელო“ და სხვ. (IV, 35). ავთანდილის და თინათინის გულს სიყვარულიც უნდა, ერთად ყოფნაც და მეგობრის

შეგლის მოვალეობის აღსრულებაც, რაიცა შეუძლებელია, იცა ეს შეუძლებლობა აყენებს მათ მწუხარებას. ხოლო მეხსი-მელოქეს ჩაბლათული აქცა თვისი სტროფები რუსთველის სტროფთა შუა ისე უხერხულად, რომ ვიღაც ინტერპოლატორი იძულებულისა წარუძღვანოს რუსთველის შენეირ სტროფს რაღაც ყოვლად უმეორე სტროფი: „საწოლს მჯდომიან პირსა ცემით ბოლი ბლუჯოს, ივარდი კონოს. გულსა იღებს; იტყვიან (ავთანდილი): კაცმან ჭირი ლხინსა შეაწონოს. ლხინმან სძლიოს, გაძლება ხამს, ჭირი სთმოს და ჟამთა ჰმონოს. ვინ ქონება არ იმადლოს, მის სხვა ღმერთნან რა აქონოს“, რათგანაც მეხსი-მელოქისა ჩანაწერის სიტყვების მიხედვით „გული კრულია კაცისა“ რუსთველს კი არა, თითქოს ავთანდილს ეკუთვნის! (ინ. ჩანაწერი 90,1)). — ტარიელმა რომ ფრიდონს არ გაატანოს საჩუქრები როსტევეანისათვის, არამედ ავთანდილს, ინტერპოლატორი, როგორც უკვე ზემოთ ვსთქვით, იძულებულისა ჩაურთავს თავის სტროფი მეხსი-მელოქისა დამატებაში (ინ. ჩანაწერი 191,10\*). — ასევე დაუდევრად არის დაწერილი მეხსი-მელოქისა ჩანაწერი 49, რომელიც შეუვსია და ვახსავებად გაუხდია სხვა ინტერპოლატორს (სტრ. 1\* და 2\* == ჭიჭ 331 = 332), და სხვ. და სხვ. (ინ. ნაკვეთი „ჩანაწერ ტექსტთათვის“).

IX

„ვეფხისტყაველისა“ თვით რუსთველის ტექსტი და, რასაკვირველია აგრეთვე ჩანაწერი, სადაცა შეუსაბამი, გაუგებარი, გადაწერითგან დამახინჯებული სიტყვებით, და ამათი შესწორება, აღდგენა მეორე მთავარი მიზნის ჩემი ტექსტის კრიტიკისა.

სიტყვათა დამახინჯების მიზეზი მრავალია: 1. სტროფის ჩართვისას ინტერპოლატორის მიერ ჩანაწერის გადახმის და შეწყობის საჭიროება ნამდვილ ტექსტთან. შავ, რუსთველის სტროფი როსტევეანის მიერ თინათინისათვის უცხო ყმის ნახვის თხრობისა თავდება: „ჯერათვა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცა“ და შემდეგ მას მოსდევს სტროფი: „ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრუ ვამქმწარეს“ და სხვ. (I, 60-61). ვისნი წყალობანი? პასუხს ვპოვებთ, თუ ჩანაწერ სტროფს წავიკითხავთ, რომლის მეოთხე ტაევი გვეტბნება: „უცილოდ ღმერთსა მოვსძული აქამდის შე მხარული“ (ჩან. 16\*). ეს ჩანაწერი ვახტანგის ვერსიაში არ არის, იგი

განდევნილია, ვითარცა განმეორება წინასწარი ნამდვილი სტროფისა და ჟღერის ჩანარითი, ხოლო შეუცვლელად დარჩენილია შემდეგი ნამდვილი სტროფის პირველი ტაეპი, სადაც ინტერპოლუს-ტორს მის სტროფში ნახმარი სიტყვის „ღმერთსა“ - ს არა - განმეორების საჭიროების გამო „მისნი“ დაუწერია, ნაცვლად „ღმერთისა“, რომელიც დედანში იქმნებოდა. მაშასადამე აღდგენა ამ ტაეპისა ჩანართის განდევნის შემდეგ აუცილებელია ასე: „ტუბილნი ღმერთისა წყალობანი“. — ასევე უნდა შეიცვალოს ავთანდილის ნამდვილი პასუხის დასასწყისი თინათინისადმი უცხო ყმის საძებრად წასვლის თხოვნაზე: „ყმამან ჰკადრს“ და არა „კვლაცა ჰკადრს“ (I, 78, 1), რათგანაც მისი წინასწარი ჩანართი სტროფი (ჩან. 20), რომელიც აკლისა ხელთ - ნაწერს G-ს, და დაწერილია იმ მიზნით, რომ ავთანდილმა თქვას „განაღმაცა წავე, წა - მუ“-ო, იწყება: „მოახსენა ყმამან“ (იხილეთ აბუღაძის „ვეფხისტყაოსანი“, ფეხრილი XXXIII). — აგრეთვე უნდა შესწორდეს ტარიელის პასუხში ნესტარ - დარეჯანისადმი: „აწ რასაცა შენ მაღირსებ“ „გჰრქე: რასაცა შენ მაღირსებ“ - აღ (III, 88), რათგანაც წინამორბედი ჩანართი სტროფი (ჩან. 59\*), რომელიც ტარიელი ეუბნება ნესტარ - დარეჯანს: „აწ შევება ხატაველთაო“ და სხვ. ვახტანგის ექრისიაში არ არის, სწორედ ვითარცა ჩანართი, ხოლო ნამდვილი ტექსტის შეცვლილი ადგილი „აწ“ „გჰრქეს“ მაგივრად, ჩანართში მიზან - შეწონილი, ხოლო უჩანართოდ შეუსაბამი, იქ აღუდგენელად დარჩენილა. — ასეთი მოვლენა ხშირია „ე. ტ.“-ში და მკითხველი მათ დაინახავს აღდგენილ ტექსტში და კრიტიკულ აპპარატში.

2. რედაქტორისაგან დედნის წარმოცილ აღგილთა ან სიტყვითა შემცდარი აღდგენა, ან ვერ აღდგენა. მაგ. ხელთ - ნაწერებში და დაბეჭდილ გამოცემებში არსებული ტაეპი მიძენისა (2, 1): „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი“. რაოდენი რამ თქმულა და დაწერილს ამ „ამაღარის“ შესახებ! ზოგს „ხელობით“ ხელობით ეგონა და რუსთველი „ხელობით“ ამაღარის გამოჰყავდა. ეს „ამაღარი“ ქრის ჩვენს მწერალს და პოეტს რაღაც განსაკუთრებული კატეგორიის რაინდიც ეგონა ძველი საქართველოსა! ზოგი კიდე კითხულობდა „ამაღარი“, ე. ი. ვიქმ საქმესა „ამის დაჩსაო“, მაგრამ თუ „ვიქმ საქმესა ამაღარი“ ქართული გრამატიკით შეუძლებელი იყო, ამბობდენ, — რუსთველი გრამატიკას არ მისდევს! ზოგი კი კითხულობდა „ამაღ არი“ (=ამიტომ არის), მაგრამ ტაეპს აზრი მინც არი ენიჭებოდა. საქმე კი სრულიად უბრალოა: ხელთ - ნაწერებში დარჩენილა აღუდგენელი წარმოცილი სიტყვების ნაწილები: ამ [- -] [- -] დარი, რიცა კონტექსტის მიხედვით შეიძლება აღდგენილ იყოს მხოლოდ ვითარცა ამ [ან] [მც] დარი. ამგვარად მივიღებთ აზრის მქონე ტაეპს: „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამას მცდარი“, ე. ი. „(მიჯნურობისაგან) ეკონება - დაკარგულობით შემცდარი ვიქმ (=გმედავ) ამ საქმეს“, — „ე. ტ.“-ის ამზის გალექსავს და მიფისათვის მიძენასო, რაზედაც რუსთველი ქვემოთ მოგვითხრობს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მის. წერეთელი

ოცდაექვსი მისი შეერთებულ შტაბში

პირველი შემთხვევა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღემ შეერთებულ შტატებში ამერიკელებისა და ქართველების საერთო პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დღესასწაული გაიმართა ნიუ-იორკის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმრო „რუზველტის“ დარბაზში. დარბაზი მორთული იყო ქართული და ამერიკული დროშებით. სტუმრებს იღებდენ ქართველი მანდილოსნები: ქ.ქ. კორა კობიაშვილი, ქეთევან ჩხატარაშვილი და ელზა ცომაია. კრება გახსნა ქართული კოლონიის თავმჯდომარემ ბენმა ლეო დუმბაძემ. მან დამსწრეებს გააცნო

საქართველოს პრობლემა და 26 მაისის მნიშვნელობა. შეენო დაკარგული თავისუფლების აღსადგენად საქართველოში და ემიგრაციაში წარმოებულ ბრძოლებს და დაასვენა, რომ მიუხედავად რთული საერთაშორისო მდგომარეობისა, ქართველი ერთ მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მედროვე ამერიკის ერი, სწორად შეაფასებს ჩვენს ბრძოლას და თავის დროზე დახმარებას არ მოაკლავს ჩვენს ქვეყანასო. ბენ დუმბაძის სიტყვამ დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. დამსწრეებს სიტყვით მიმართა შეერთებული

შტატების წარმომადგენელთა პალატის ცნობი-  
 ლმა წევრმა (კონგრესმენმა) ბატონმა **ჩარლზ**  
**კერსტენმა**. მან თავისი შესანიშნავი, დიდი ოს-  
 ტატობითა და პათოსით წარმოთქმული სიტყვა  
 დაიწყო საქართველოს შესახებ 1926 წ. ამერი-  
 კის კონგრესის მიერ გამოცემულ წიგნზე მითი-  
 თებით. „აქ ჩვენ ვმსჯელობდით საქართველოს  
 ცნობაზე და მისთვის დახმარებაზე და ამის შე-  
 მდეგ ყოველგვარი ლოლიკის გაკრეფე, პრეზიდენ-  
 ტმა რუხველტმა იურიდიულად იცნო მოსკო-  
 ვის ხელისუფლება, ე. ი. პატარა ერების დამპყ-  
 რობი და მისი გამანადგურებელი ხელისუფლე-  
 ბა“. შემდეგ ბატონი კერსტენი შეეხო საერთა-  
 შორისო მდგომარეობას, მოსკოვის აგრესიულ  
 გეგმების არსებობას და მოუწოდა თავის მთავ-  
 ვრობას და ამერიკელ ერს, რომ დროს ქვეყნი-  
 ქრებამ სწორად შეაფასოს არსებული საბრძოლ-  
 და საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ, ამე-  
 რიკის ნამდვილ მოკავშირეებს ხელი გაუწოდო-  
 სო. ნამდვილ მოკავშირეებად ბატონ კერსტენს  
 მოაჩნია რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები,  
 რომლებიც დღემდე იბრძოდნენ და მომავალშიც  
 იბრძოლებენ თავისუფლებისათვის. ბ-მა კერს-  
 ტენმა ჩამოთვალა ეს ერები და შეჩერდა საქა-  
 რთველობაზე, მის წარსულზე, მის კონსტიტუცი-  
 აზე, კულტურაზე და გამოთქვა რწმენა, რომ  
 თავისუფლებისათვის მებრძოლი კულტურული  
 ერი ბოლოს მუდამ აღწევს თავის მიზანსო.

აღსანიშნავია აგრეთვე საგარეო საქმეთა სა-  
 მინისტროს მოხელეს ბატონ **ოკონორის** გამოსვ-  
 ლა, რომელმაც დამსწრე ქართველებსა დიდათ  
 გააკვირა საქართველოს ისტორიის მშვენიერი  
 ცოდნით.

უაღრესად საინტერესო იყო საგარეო საქმე-  
 თა სამინისტროს წარმომადგენლის, „ამერიკის  
 ხმის“ ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის  
 განყოფილების უფროსის, ბატონ **დუერის** გა-  
 მოსვლა. იგი შეეხო რუსულ იმპერიალიზმის  
 თანდათანობითი განვითარებას და ხაზი გაუსვა,  
 რომ იოანე მირისხანეს მიერ ყაზანისა და ასტრ-  
 ხანის აღება შემდეგ დღემდე რუსეთის საგა-  
 რეო პოლიტიკა მუდამ ერთი მიმართულებით  
 ვითარდებოდა და ყველა ხელსაყრელ შემთხვე-  
 ვას იყენებდა იმ დროს დასახული იმპერიალ-  
 ისტური გეგმების განსახორციელებლად. ბ-მა  
 დუერმა გამოთქვა დრმა რწმენა, რომ ქართვე-  
 ლი ერი, რომელიც ამდენი ხანია მსხვერპლს  
 იღებს და იბრძვის თავისუფლებისათვის, უსა-

თუოდ მიაღწევს მიზანს და ეს დრო შეიძლება  
 არც ისე შორის იყოსო.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე უკრაინული  
 კონგრესის თავმჯდომარე დოქტორი დობრინს-  
 კი, იმავე კონგრესის წარმომადგენელი ბ. პიზნა-  
 კი, სომხების დამოუკიდებლობის კომიტეტის  
 და დაშნაკთა პარტიის წარმომადგენელი, წა-  
 რმომადგენლები,—რუმინეთის, ლატვიის, ლიტ-  
 ვის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავ-  
 კასიელების და სხვა ეროვნული და საერთაშო-  
 რისო ორგანიზაციებიდან.

კრების დასასრულს ქართული საზოგადოების  
 გამგეობა სტუმრებს გაუმასპინძლდა კოკტივი-  
 ლით.

26 მაისსა დღესთან დაკავშირებით ქართულ-  
 ამერიკულმა ლიგამ მემორანდუმები გაუგზავნა  
 შეერთებული შტატების მთავრობის გამოჩენილ  
 წევრებს, საზოგადო მოღვაწეებს და უ. ნ. ო-ს  
 წევრებს. ამავე დღისათვის ლიგამ გამოსცა სა-  
 განგებო ფურცელი, 26 მაისის მნიშვნელობის  
 აღწერით. ამერიკული საზოგადოებას დაურიგდა  
 აგრეთვე უზრუნალი „თავისუფალი საქართვე-  
 ლოს ხმა“, მეორე ნომერი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან  
 დაკავშირებით ქართულ-ამერიკულმა ლიგამ  
 მიიღო წერილები პრეზიდენტ აიზენჰაუერისა-  
 გან, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ დუი-  
 ისაგან, სენატორ აივისისა და ლემანისაგან, შეეჩ-  
 თებული შტატების წარმომადგენლის გაერთიან-  
 ნებულ ერებში ბატონ ლოჯისაგან, ნიუ-იორკის  
 ქალაქის თავის—იმპელიტერისაგან, ბატონ ჰა-  
 რიმანისაგან, ბულიტისაგან და სხვა ცნობილ  
 პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლიგ-  
 ის სახელზე მიღებული წერილი შეერთებული  
 შტატების სენატის საგარეო ურთიერთობის  
 კომისიის თავმჯდომარის, სენატორ ალექსანდ-  
 რე **ვალისა**, რომელშიც იგი აღნიშნავს: „ამე-  
 რიკა ხალხს აქვს უდიდესი სიმშაბთა იმ ხალ-  
 ხებისა, რომლებიც დაპყრობილი არიან კომუ-  
 ნიზმის მიერ საბჭოთა კავშირში და სატელიტ  
 ქვეყნებში. ჩვენ უკვე დიდი ხანია თაყვანს  
 ვცემთ ქართველ ხალხს გამირულ წინააღმდე-  
 გობას კომუნისტური ტირანის მიმართ, და ჩვე-  
 ნი ღრმა რწმენა და ვლიოკულობა, რომ მომა-  
 ვალში ყველა ხალხებს მიეცეს საზუალქება თა-  
 ვისი სურვილისამებრ წარმართონ საკუთარი  
 ბედი“.

„ამერიკის ხმის“ ქართულმა განყოფილებამ



სპეციალური გადაცემა უძღვნა 26 მაისს, ხოლო გაზეთში „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 6 ივნისის ნომერში, მეთაფური წერილით აღნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის მნიშვნელობას.

**მერაბ კვიციანი**

**რაოდენიმე შენიშვნა**

1. განსვენებულ ნ. ჟორდანიას თავის წიგნში „ჩემი წარსული“, გვ. 101 - 102, ნათქვამი აქვს, რომ მისი და ჩემი შეხვედრა ქუთაისში მოხდა (1916 წ.), ხოლო მისი და განსვენებული გ. მახაბლის შეხვედრა თბილისში დ. ვაჩნაძის ბინაზედ (1917 წ.). სჩანს, მოხუცს ეს ამბები კარგად აღარ ახსოვდა, რათგანაც ქუთაისში მასა გ. მახაბელი შეხვდა, ხოლო თბილისში დ. ვაჩნაძის ბინაზედ, მე შეხვედრი მასა და ბ-ნ ევ. გეგეჭკორას, საიღუმლო მცირე კრებას დაესწრო აგრეთვე ფედერალისტი იოსებ გედევანიშვილი.

2. იქვე, გვ. 99 - 100: ლოიზანაში „ერთა კავშირის“ მესამე მორიგ კონფერენციასზედ 1916 წ. „უპასუხისმგებლო ქართველთა“ ჩამოსვლა კი არ იყო, არამედ ამ კონფერენციასზედ მთელი ქვეყნის დაჩაგრულმა ერებმა თავისი ჭირი თქვეს და თავისი უფლებანი დაიცვეს „განათლებულ კატორიის“ წინაშე, რათგანაც მაშინ, ომის დროს, ანტანტაც და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებიც იძახდენ, საინარყოიანობისათვის, ერთა თავისუფლებისათვის და სხვ. ვიბრძვითო, არ ყოფილა არც ერთი დაჩაგრული ერი, რომ ამ კონფერენციასზედ თავისი უფლებები არ დაეცვა, და ქართველთა საჩივარსაც უღრმესი შთაბეჭდილება დასტოვა მთელ კონგრესსზედ, რომელიც სრულიადაც არ იყო მოწვეული გერმანიის სასარგებლოდ და არც არავის უთქვამს იქ არც ერთი გერმანოფილური სიტყვა. არც საქართველოს განთავსუფლებამ მოუთხოვია არავის ოსმალეთის საშუალებით. ამიტომ ქართველი ს.-დ-ის განცხადებამ, ქართველმა ერმა რუსის დემოკრატიასთან შეკრა კავშირი და მასთან არის, ხოლო 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შუა დადებულ ხელ-შეკრულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და სხვა, საბაგელი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზედ, ანტანტის მომხრეებზედაც, რათგანაც არც ერთი სხვა ერიც წარმომადგენელს მსგავსი რამ არ განუცხადებია და ეს ქართული განცხადება რაღაც გამონაკლისი იყო, ანტიპათიური. განსვენებულ ნ. ჟორდა-

ნისა ცუდი ინფორმაცია ჰქონდა ალბათ, როდესაც შემოხსენებულს სწერდა. გარდა ამისა, რომ ს.დ-ს რომ თვითი ნიუ-იორკიდანაცაგან ჰქონოდა მიცემული ფორმა განცხადებისა, რომელსაც იგი სიფრთხილისათვის საჭიროდ დაინახავდა, კონგრესსედ უსიამოვნო ინცადენტს ადგილი არ იქმნებოდა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო მაშინდელ პირობებში.

3. განსვენებული სპ. კელიას ჩამოსვლა ბერლინში 1918 წ., აღწერილი ანჩინის მიერ „მებ. საქ.“-ს 14 ნომერში, შემდეგნაირად მოხდა: განსვენებულ მ. ქარცივაცხა და მე დაგვევალა მეორედ წასვლა საქართველოში წყალ-ქვეშა ნავით ერისაგან, ან მისი პარტიათაგან აღჭურვილი მანდატით კაცის ჩამოყვანა ბერლინში. სივსტოპოლს რომ მივახწიეთ, იქ ენახეთ ასეთი კაცი, სპ. კელია, რომელსაც რატომღაც სოფიაში წასვლა ჰქონდა დავალებული. ჩვენი მიზანი საფუძვით მიხწეული იყო და სპ. კელია სოფიაში კი არ გაუშვიოთ, არამედ მასთან ერთად გემით გავემგზავრეთ კონსტანციაში და იქითგან ჩავედით ბერლინში. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და ბერლინივე ჩამოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაცია აკ. ჩხენკელის მეთაურობით.

**მ. წერეთელი**

**რელაქციისაგან:** ლოიზანის კონგრესზე 1916 წ. პროფ. მიხეილ წერეთლის მიერ წარდგენილი მემორანდუმის მნიშვნელოვანი ადგილები აქვე მოგვეყავს ჩვენ წერილში.

**ქართული ევროპული მოძრაობისაგან**

ქართული ევროპული მოძრაობის საინიციატივო წრემ დაამთავრა მოსამზადებელი მუშაობა და დაარსა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: **ალ. ჯინჭარაძე, კ. სალია, მ. აღმიზია** და **ვ. ცხომელიძე.**

სამდივნო ხელმძღვანელობს ნოდრობის მუშაობას ყრილობის მოწვევამდე.

საბატო თავმჯდომარეთა რჩეული: **იქმნა პროფ. მიხეილ წერეთელი, საბატო წევრად — გრიგოლ რობაქიძე.**

ნოდრობის მუშაობას საფუძვლად ედება ა/წ. 7 - აპრილს ქ. მიუნხენში შემდგარი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება:

**I მიზანი**

1. გავრცელება ქართველთა მოზრის ევროპის სახელმწიფოთა კავშირისა და ნასში სუვერენულ დემოკრატიულ საქართველოს შესვლისა აუცილებლობის იდეისა.

2. გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპისა, და რომ მის სურსა გახდეს მისი წევრი.

ამ მიზანთა მისახწევად იგი უკავშირდება კავსიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს.

**II წევრები**

ქართული ევროპიულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ ქართველს, განურჩევლად მრწამსისა და მიმართულებისა, ვინც აღიარებს საქართველოს სუვერენობას და იზიარებს ევროპის მთლიანობის იდეას.

წევრთა მიღება ხდება ადგილობრივ სექციათა გამგეობის მიერ საზოგადო კრების დადასტურებით.

საპატიო წევრები: მოძრაობა ირჩევს საპატიო წევრებად დამსახურებულ ქართველთა და უცხოელთა.

**III ხელმძღვანელობა**

ყველა ქვეყნებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ, არსდება მოძრაობის ადგილობრივი სექციები, რომლებიც ირჩევენ საზოგადო კრებაზე ხელმძღვანელ იურჯანოს.

ყველა სექციები შეთანხმებით ადგენენ მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობას.

**† პროფ. ემთიამ თაყაიშვილი**

საქართველოში გარდაიცვალა პროფ. ემთიამ თაყაიშვილი, ჩვენ სიძველეთა უდიდესი მკვლევარი. „ბ. ქ.“ მომავალ რევუელში გამოქვეყნდება პროფ. მიხეილ წერეთლის წერილი განსვენებულის შესახებ.

**თეთრი გიორგის მოძრაობის ხელმძღვანელობისაგან**

ა/წ. ნოემბრის 22, სრულდება 10 წელი თეთრი გიორგის პირველი ხელმძღვანელის დენ. ლეო კერესელიძის ტრადიულად დაღუპვითგან. პარიზში, ქართულ ეკლესიაში, კვირას, 22 ნოემბერს, 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულ ლ. კერესელიძესთან ერთად უცხოეთ-

ში გარდაცვლილ თეთრ-გიორგელთა სულის მახსენებლად:

დენ. შაქრო ბაქრაძე, ვასო ციციშვილი, სიმონიკო ბერეჟიანი, გივი ლაშაშიძე, ვანო გახაკიძე, არჩილ ვაჩანძე, ირაკლი კალანდარაშვილი, ლევან ჯაყელი, ალექსანდრე (კუჭია) ალანია, იოსებ ჯაფახიშვილი, სიმონ სენიაშვილი, თედო ზარიძე და შალვა სოხაძე.

**პროფ. თ-დ პირილე თუბანოვის შრომათა სპარტელოს ისტორიის ღარში**

დიდი ხანი არ არის, რაც პროფ. კ. თუმანოვი მოღვაწეობს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში (ვანინგტონში), როგორც პროფესორი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა, და მის კალამს უკვე მრავალი ფრიად საინტერესო მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის, ჩვენ აქ ყურადღებას ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ პროფ. კირილე თუმანოვმა მათი ნაღვილი ადგილი მიუჩინა სომხეთს და საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში და ამ მხრით ის გახიზნა სხვა არა სომეხ და ქართველ ისტორიკოსთაგან ახლო აღმოსავლეთისა, რომელნიც საქირო ყურადღებას არ აქცევენ სომხეთს და კიდევ უფრო უგულუბელ ჰყოფდნენ საქართველოს.

აღვნიშნავთ მხოლოდ ამ ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერის რაოდენიმე ნაშრომს საქართველოს შესახებ, დაწერილს საფუძვლიანი კოდნით ქართული ენისა, ქართულ ისტორიულ წყაროთა და ახალი ქართული მეცნიერული ლიტერატურისა, და შესანიშნავი მეთოდით მეცნიერული კვლევისა:

1. Medieval Georgian historical literature, Traditio, vol. 1943, New-York. (სამუშალო საუკუნეთა ქართული საისტორიო მწერლობა).
2. The oldest manuscript of the georgian annals: the queen Anne Codex 1479-1495, Traditio, vol. V, 1947, New-York. (უძველესი ხელთ - ნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“: ანა დედოფლისეული კოდექსი).
3. The early Bagratids, Le Muséon, t. LXII, 1-2, Louvain, 1949. (პირველი ბაგრატიდები).
4. The fifteenth-century Bagratids and the institution of collegial sovereignty in Georgia, Traditio, vol. VIII, 1949-1951. (მეთუთხმეტე საუკუნის ბაგრატიდები და დამყარება კოლეგიალური ხელმწიფობისა საქართველოში).
5. Iberia on the eve of Bagratid rule (An inquiry

into the political history of Eastern Georgia between the VI-th and the IX-th century, Le muséon, t. LXV, 1-2, Louvain, 1952. (პოლიტიკური ისტორია აღმოსავლეთ საქართველოსი მეექვსე-მეცხრე საუკუნეში).

6. დასასრული იმხვევ გამოკვლევისა, თავი 3-4 (გვარამიდები და მათი შემკვიდრებები) იქვე.

### ბრიგოლ რობაჰიძე

ცრიგოლ რობაჰიძემ მოათავა ორი წიგნი: 1. „საქართველო მის მსოფლ-ხატში“ (გერმანულად. ტექსტის ფრანგული თარგმანიც მზადია). ამ წიგნში გადმოწლილია საქართველო უნივერსალური ხაზებით. ეს არის პირველი შრომა, რომელიც გვამცნევს საქართველოს სპირიტუალური თავრებას.

2. „Das Nesses Hemd“ — ანალიზი ბოლშევისტურის სისტემისა და ამ სისტემის მიერ წარმოშობილი ატმოსფეროსი; სხვათა შორის გარკვევით არის ნახვევები თუ რაღა მოხდა პირველი ჩამოყალიბება ბოლშევისტისა რუსეთის არეში. ვაფეცანით ამ შრომისა; არც ერთი დებულება აქ გამოთქმული ჯერ კიდევ არ არის მსოფლიოში ცნობილი. ერთი ნაწყვეტი ამ შრომითგან მოათავსა მეთაურათა შვიცარიის ერთმა გავლენისმა გაზეთმა. მეორე ნაწყვეტი გამოვიდა აურნალში „Schweizer Rundschau“. ავტორი თვლის ამ წიგნს ერთადერთ მისაგნებ ზნად ბოლშევისტის საიდუმლოს გახსნისათვის.

### მამა შალვა ვარდიძე

მამა შალვა ვარდიძე დიდ კულტურულ მუშაობას ეწევა სირიაში და ლიბანონში. მან გამოსცა არაბულ ენაზე ორი წიგნაკი: 1. ნოკლე მიმონილვა საქართველოს ისტორიისა და 2. გელათის მონასტერი. დამზადებული აქვს გამოსაცემად სხვა შრომები საქართველოს კულტურის შესახებ.

გამოვიდა — „Le destin d'un peuple. La Géorgie“ გიორგი კერესელიძისა. წიგნაკი კარგად არის შედგენილი. გამოცემულია საბრობაგანდო მიზნით.

### საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული კომიტეტი

ამერიკითგან გვატყობინებენ, რომ ნიუ-იორკში არსებულ „ქართულ დემოკრატიულ კავ-

შირს“ ამერიკითგან ეწოდება: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული კომიტეტი“.

### სამგლოვნიარო

სამუდამოდ გულმოკლული ვანო ახმეტელი აუწყებს საზოგადოებას, რომ ა/წ. თებერვლის 4, ტფილისში გარდაიცვალა მისი ერთადერთი ვაჟი — 18 წლის მერაბი.

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხადებს ბ. ვანო ახმეტელს მისი საყვარელი შვილის გარდაცვალების გამო. აგრეთვე ნიუ-იორკში მცხოვრები მეგობრები ღრმა მწუხარებას უცხადებენ მას.

„ბედი ქართლისა“ უღრმესი მწუხარებით აუწყებს თანამემამულეთ, რომ უკანასკნელ ხანებში გარდაიცვალენ, საფრანგეთში: ნიკ. იმნაიშვილი, ვლადიმერ ბაქრაძე, დავით კახელაძე, თამარ რუხაძე. ინგლისში — დავით ქავჭავაძე, ირლანდიაში — ალექსანდრე ბარმა.

### რედაქციისაგან

უაღვლოობის გამო გადავიდა შემდეგი ნომრისათვის წერილები: მ. შ. ვარდიძისა, ნინო სალიანი და ნიკ. ჯანელიძისა.

ტფილისითგან ახალი წყაროების მიღების გამო ექ. გივი კობახიძემ შეახერხა მისი წერილის გაგრძელება ბაგრატიონებზე, რომლის გამოქვეყნება განაახლებდა მასალების გაცნობის შემდეგ.

### კრეზულის ფონდი, №15

შემოსწირვის: ბ.ბ. მ. კ - შა — 3.600 ფრ., ზურაბ მაჩაბელმა — 3.000 ფრ., მიხეილ დევიძემ — 2.000 ფრ., მ. ჩუბინიძემ — 2.000 ფრ. ხუთხუთი დოლარი: ი. მარმა, პროფესორმა კ. თუმანოვმა, გ. გამყრელიძემ, ტიტე ჩხეიძემ, ვ. ახმეტელმა და ვ. კობახიძემ. სპარსეთითგან ქ. ქ. სასანიას სანულებით — 1.800 ფრ., ვ. ჩუბინიძემ — 1.000 ფრ., შ. ვიორგაძემ — 1.000 ფრ., დ. ახვლედიანმა — 500 ფრ.

სულ — 25.700 ფრ.

„ბედი ქართლისა“ უღრმეს მადლობას უცხადებს თანამემამულეთ, რომელნიც მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, მაინც არ ივიწყებენ მას და აძლევენ არსებობის საშუალებას.